# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 25 ოქტომბერი, 2014 წელი.

№218 (7599)



ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## სააკაშვილის მიმართ სისხლის-სამართლებრივი დევნის რეკომენდაციას იძლევიან

5





## ნაციონალების ბოიკოტს, შესაძლოა, ლევან ბეჟაშვილის პოსტი შეეწიროს

4

## ნაცების შეთითხნილი ბრალდება



2

## საგამომცემლო ბიზნესი იძირება!



4





⊙ თანამემამულე

## ამერიკელი ქართველი მომღერლის „კომპოზიციური თავგადასავლების“ გზა

11

## საქართველოს ჰეროიკული მატიანე,

### ანუ დამსახურებულმა ინჟინერმა დამსახურებულ მხატვარს ოცნება აუსრულა



6

⊙ თბილისობა



## დღესასწაულზე მეტროპოლიტენი და საბაგირო ღამის პირველ საათამდე იმუშავებენ

ამის შესახებ თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა პაატა ჯაჭვლიანმა განაცხადა.

„თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით, თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, საბაგიროთი მგზავრობა იქნება უფასო“, — აღნიშნა ჯაჭვლიანმა.

მისივე ინფორმაციით, გარკვეული შეზღუდვები დაწესდება ავტოტრანსპორტისთვის.

„თბილისობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, 25 ოქტომბერს 08:00 საათიდან 26 ოქტომბრის 24:00 საათამდე დედაქალაქის გარკვეულ უბნებში შეიზღუდება ავტოტრანსპორტის მოძრაობა და პარკირება.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა იკრძალება ევროპის მოედნის მიმართულებით ღვინის აღმართიდან და მეტეხის ქუჩიდან, ასევე „ევროპის მოედნიდან“ მეტეხის ხიდის და გორგასლის მოედნის მიმართულებით. სანაპიროზე ავტომობილები მოძრაობას გააგრძელებენ გორგასლის ქუჩის მიმართულებით ქვედა ზოლში და მოძრაობა იქნება ორმხრივი.

იკრძალება პარკირება გორგასლის ქუჩაზე, სანაპიროზე ავტომობილები უნდა გადაადგილდნენ გამსახურდიას ქუჩით სანაპიროს გავლით კრწანისის მოედნის მიმართულებით. პარკირება შესაძლებელია ევროპის მოედანზე მიწისქვეშა ავტოსადგომზე.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გაძლიერდება პატრულირება ქალაქის პარკებში, სკვერებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სადაც გაიმართება სადღესასწაულო კონცერტები და სხვა კულტურული ღონისძიებები: ვაკის პარკი, ბუკიას ბაღი, რიყის პარკი, კიკვიძის ბაღი, გლდანის პარკი.

ავტოსატრანსპორტო მოძრაობა ასევე იკრძალება იმ ქუჩებსა და მოედნებზე, სადაც გაიმართება საშემოდგომო ნობათის ბაზრობები: მარიჯანის ქუჩაზე (ვაჟა-ფშაველას ძეგლის მიმდებარე ტერიტორია), ნუცუბიძის მე-4 პლატოს მე-17-18 კორპუსის მოედანზე, გორგასლის ქუჩის სამანქანო გზის მონაკვეთზე — ბალნეოლოგიური ცენტრიდან ისფაჰანლის ქუჩის ჩასახვევამდე, რესპუბლიკის მოედანზე, მიცკევიჩი-კუტუზოვის ქუჩების კვეთიდან მიცკევიჩი-პეკინის ქუჩების კვეთამდე, დიდ დიღომში იბერის ქუჩაზე (პოლიციის შენობის მიმდებარედ), ვაზისუბანში 1-ლი მკ/რნ-ის მე-12 კორპუსის მიმდებარე ტერიტორია, კიკვიძის პარკის მიმდებარე ტერიტორია, დიღმის მასივის ე.წ. ალეას გვერდითი გზა, კოსტა ხეთაგუროვის ქუჩა „მედიკების“ სახლთან, გლდანის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, მუხიანში — დუმბაძის გამზირზე, ავჭალაში — სარაჯიშვილის სახელობის სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე.

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

# გიორგი მარგველაშვილი იაპონიის იმპერატორს შეხვდა

**საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს და მაკა ჩიჩუას იაპონიის იმპერატორმა უმასპინძლა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურიდან აცნობეს, გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა იაპონიის იმპერატორ აკიჰიტოსთან. იმპერატორი და მისი მეუღლე გიორგი მარგველაშვილს და მაკა ჩიჩუას პირადად დახვდნენ და მათ საკუთარ სასახლეში უმასპინძლეს.**

გიორგი მარგველაშვილთან და მაკა ჩიჩუასთან შეხვედრამ დახურულ კარს მიღმა, იაპონური ტრადიციების სრული დაცვით ჩაიარა.

იმპერატორი აკიჰიტო იაპონიის 125-ე იმპერატორია. იგი ერთადერთი მონარქი მმართველია, რომელსაც იმპერატორის ტიტული აქვს და ერისა და ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოა.

# სააკაშვილი ისევ ცრუობს

**გერმანიაში საქართველოს ელჩი ლადო ჭანტურია აცხადებს, რომ აფხაზეთში რუსულ გეგმებთან დაკავშირებით გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ინფორმირებული იყო. ამის შესახებ ლადო ჭანტურიამ ყოფილი პრეზიდენტის განცხადების კომენტირებისას განაცხადა, რომლის მიხედვითაც, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ანგელა მერკელს მასთან საუბრამდე არაფერი სმენია აფხაზეთში რუსულ გეგმებზე.**

როგორც ლადო ჭანტურიამ აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილის ეს განცხადება სინამდვილეს არ შეესაბამება.

„ჩვენ ეს ინფორმაცია ფედერაციული კანცლერის ადმინისტრაციაში გადავამოწმეთ. მიხეილ სააკაშვილის ეს განცხადება სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან კანცლერი უფრო ადრე, დაწვრილებით იყო ინფორმირებული ამ საკითხზე. შემდეგ, როდესაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის ვიზიტი შედგა ბერლინში, 21 ოქტომბერს, დამატებით და დაწვრილებით მიეწოდა ინფორმაცია კანცლერს“, — განაცხადა ლადო ჭანტურიამ და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კანცლერი ამ საკითხზე ინფორმირებული იყო მანამდეც, ვიდრე მინისტრი მაია ფანჯიკიძე გერმანიაში ჩავიდოდა.

როგორც ჭანტურიამ განაცხადა, მიხეილ სააკაშვილის ამგვარმა ინტერპრეტაციამ როგორც ქართული მხარის, ასევე გერმანელი კოლეგების გაოცება გამოიწვია.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა მას უთხრა, რომ აფხაზეთში რუსულ გეგმებზე არაფერი სმენია. ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა ბრიუსელში განაცხადა, სადაც ევროპის სახალხო პარტიის სამიტს დაესწრო.

„მე ბევრი ვისაუბრე აფხაზეთზე და იმ საკითხებზე, რაც ეხება საქართველოს სუვერენიტეტს, საქართველოს ნაწილებად გაგლეჯის, ტერიტორიების ჩამოგლეჯის, წართმევის ძალიან თავხედურ მცდელობას, რომელიც ამ დღეებში ხორციელდება. დადგინდა, რომ ამ რამდენიმე დღის წინ, როდესაც ევროკავშირის ლიდერები მრავალი საათის განმავლობაში პუტინთან განიხილავდნენ რეგიონში შექმნილ სიტუაციას, როგორც ახლა ირკვევა, განიხილეს მხოლოდ უკრაინისა და მოლდოვას საკითხი და საქართველოს საკითხი პრაქტიკულად არ წამოჭრილა. შემდეგ ცალკე ვესაუბრე აქვე გერმანიის კანცლერ მერკელს, ევროპის მთავარ ლიდერს. ჩემდა სამწუხაროდ, მინდა, ვთქვა, მან მითხრა, რომ აქამდე, დღევანდელ ჩემს საუბრამდე, მას პირადად არაფერი სმენია აფხაზეთში რუსულ გეგმებზე, აფხაზეთის ანექსიის საკითხზე. მან მთხოვა, რომ დავუკავშირდეთ მის კანცელარიას სასწრაფოდ. მე ამ თხოვნას გადავცემ საქართველოს მთავრობას და ვსვამ კითხვას, აქამდე რას აკეთებდნენ და რატომ არ დაუკავშირდნენ? აქამდე რატომ არ დასვეს ეს საკითხი ასეთ უმაღლეს დონეზე?“ — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

◎ ფოტოგრაფების საქმე

# ნაცების შეთითხნილი ბრალდება

**„ფოტოგრაფების საქმესთან“ დაკავშირებით პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. პროკურატურაში უკვე დაკითხეს ფოტოგრაფი გია აბდალაძე, რომელმაც ზურაბ ქურციკიძესთან, ირაკლი გედენიძესა და ნათია გედენიძესთან ერთად 2013 წელს განცხადებით მიმართა მთავარ პროკურორს საქმისთვის საიდუმლო გრიფის მოხსნისა და ხელახალი გამოძიების დაწყების მოთხოვნით. ორი საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოს, ერთი ადგილობრივი გაზეთისა და ყოფილი პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი 2011 წლის ივლისში ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პირობითი მსჯავრით ისინი მალევე გაათავისუფლეს. 2012 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ფოტოგრაფებს პირობითი მსჯავრი მოეხსნათ, თუმცა სიმართლის დადგენის მიზნით ისინი პროკურატურისგან საქმის გამოძიებას მოითხოვენ.**



ჩვენების მისაცემად საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ ფოტოგრაფი გია აბდალაძე პროკურატურაში 2 დღის განმავლობაში რამდენიმე საათით იმყოფებოდა. დაკითხვისა და გამოძიებისთვის საინტერესო დეტალების თაობაზე ის არაფერს ამბობს, თუმცა, იმედი აქვს, რომ გამოძიება მათ უდანაშაულობას დაადგენს:

„იმედია, რომ რეალური სურათი გახდება ცნობილი, პირველ რიგში, ჩვენთვის და საზოგადოებისთვისაც, თუ რამ გამოიწვია ის, რომ ჩვენ, უდანაშაულო ადამიანები, ამ მუხლით გაგვასამართლეს“.

დაკითხვაზე ჯერ არ დაუბარებიათ ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პირადი ფოტოგრაფი ირაკლი გედენიძე. რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში ის ამბობს, რომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს სიმართლე და გამოირკვეს პირთა ის წრე, ვისი განკარგულებითაც მოხვდნენ ისინი ჯაშუშობის ბრალდებით ციხეში.

4 ფოტოგრაფი 2011 წლის ივნისში ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს, თუმცა საქმეზე საიდუმლო გრიფის არსებობის გამო საზოგადოებამ ვერ გაიგო, ვის სასარგებლოდ ედებოდათ ჯაშუშობა ბრალად დაკავებულებს. რამდენიმეკვირიანი პატიმრობისა და ხმაურიანი საპროტესტო აქციების შემდეგ, ბრალის აღიარების სანაცვლოდ ისინი საპროცესო გარიგებით გაათავისუფლეს. მოგვიანებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მათ სასამართლომ პირობითი მსჯავრი და ნასამართლობა მოუხსნა.

2014 წელს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოეხმაურა მისი პირადი ფოტოგრაფის დაკავების ფაქტს და სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“ გადაცემა „არჩევანში“ საუბრისას ეჭვი გამოთქვა, რომ „საქმე მთლად სუფთად“ არ იყო წარმართული:

„ერთადერთხელ, როცა დავინტერესდი სისხლის სამართლის საქმით და ეჭვი გამოვხატე, ეს იყო ფოტოგრაფების საქმე. იმიტომ დავინტერესდი, რომ ჩემი პირადი ფოტოგრაფი დააკავეს და დღემდე ეჭვი მაქვს, რომ იქ ბოლომდე მთლად სუფთად არ იყო ყველაფერი გაკეთებული, მაგრამ ეჭვის დონეზე დავინტერესდი“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ხელმძღვანელი ალეკო ცქიტიშვილი დარწმუნებულია, რომ ფოტოგრაფები მაშინ 26 მაისის საპროტესტო აქციის დარბევის დროს გადაღებული ფოტოების გამო დაისაჯნენ, ვინაიდან, სწორედ ამ ფოტოებიდან შეიტყო საზოგადოების ფართო წრემ ის, თუ რა ხდებოდა რეალურად იმ ღამით რუსთაველის გამზირზე. ალეკო ცქიტიშვილის სიტყვებით, ეს ფოტოგრაფები თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო დააკავეს და ისინი იყვნენ სინდისის პატიმრები.

„ამ ხელისუფლებას, სამართალდამცავ ორგანოებს ნაბიჯიც არ გადაუდგამთ იმის გასარკვევად, თუ რა მოხდა რეალურად და ვინ იყო დამნაშავე იმაში, რომ ფოტორეპორტიორები დააპატიმრეს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ თავიანთ საქმიანობას ასრულებდნენ. რეალურად ეს იყო შეთითხნილი ბრალდება, რაც ჰქონდათ წაყენებული, თითქოსდა ისინი ჯაშუშები იყვნენ. ეს, უბრალოდ, ღიმილის მომგვრელია“.

გამოძიების დასრულებამდე მთავარ პროკურატურაში კომენტარს არ აკეთებენ. ფოტოგრაფები ვარაუდობენ, რომ გამოძიება მალე დასრულდება და შემდეგ უკვე სასამართლო მათ უდანაშაულობას დაადგენს.

**ნინო ხარაძე**

◎ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

**● ე.წ. ანტიდისკრიმინაციულმა კანონმა კვირტები გამოიტანა და ისეთი პირი უჩანს, პირველ მყრალ ნაყოფსაც მალე მოგვცემს.**

**● 45-კაციანი დელეგაცია იაპონიაში წავიდაო და.. შეიხედეთ ერთი პრეზიდენტის სასახლეში, დარჩა ვინმეე თუ ყარაულები და დამლაგებლებიც „იქ“ არიან წასულები?**

**● მაიცათ, „პიანი მასტერის“ ილეთები დაამხეცოს და მერე გიჩვენებთ სეირს!**

**● ძალიან გთხოვთ, კარგად გამოიკვლიეთ ვინ დგას მოხეს პროვოკაციის უკან და ვინ ცდილობს რელიგიური თემით მანიპულირებას... თანაც ზუსტად „ცნობიერების მანიპულირების“ სახელმძღვანელოდან კალკით გადმოღებული მეთოდებით მიმდინარეობს ეს ყველაფერი და. მოგიწოდებთ ყველას, რამენაირად შევაჩეროთ ეს პროვოკაცია, ვისი „აგდებულია“ თემა, ის გამოვიკვლიოთ და დავსაჯოთ სასტიკად ამ ყველაფრის „რუხი კარდინალები“ ადამიანთა რელიგიური გრძნობების პროვოკაციის მიზნით გამოყენებისათვის...**

**● სრული იგნორი „რუსთავი-2“-ს! აი ესაა წამალი.**

**● „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს და მინისტრებს ერთ სასარგებლო რჩევას მოგცემთ:**

**ნაციონალებს თუ ვერ იჭერთ და ვერც დანაშაულებს უმტკიცებთ, დებატებში მაინც ნუ უსხდებით, განსაკუთრებით „რუსთავი-2-ზე“, თორემ თქვენს ყოველ სიტყვას „სატოპკედ“ იყენებენ და აქეთ გდებენ შარს, რაც ძალიან უარყოფითად და ნერვებისმომშლელად მოქმედებს მოსახლეობის ფსიქიკაზე!**

ილაყბონ თავისთვის, „ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდის“!

არ იუკადრისოთ ჩემი ეს რჩევა, გამოცდილი კაცი ვარ (აქ, ძალიან თავმდაბალი სმაილი).

**● იაპონიაში უჩა ნანუაშვილი უნდა წასულიყო!**

დააკვდებოდა კიმონო.

**● უსუფაშვილის სტატიის გამოქვეყნება, თუ ვინმე „სხვამ“ (როგორც ნატა ამაღლობელი აცხადებს) დააფინანსა, კანონის მიხედვით ეს საჩუქარი უნდა აისახოს თუ არა პარლამენტის თავმჯდომარის დეკლარაციაში?**

**● ადიგენში, აჭარაში, ქვემო ქართლში და სხვა ადგილებში,ქართველ მუსლიმთა აგრესია და გააქტიურება გამოწვეულია არა მარტო ე.წ „უფლება დამცველები“-ს წაქეზებით, არამედ თურქული ისტორიული სერიალების 24-საათიან რეჟიმში პროპაგანდის გამო!**




**● მაქვს იდეა: გამოვუშვათ ფულადი ნიშნები 1-დან 150 ლარამდე (ერთლარიანი, ორლარიანი, სამლარიანი... 149-ლარიანი, 150-ლარიანი), თითეულ მათგანზე განვათავსოთ თითო პარლამენტარის პორტრეტი (ზუსტად 150 არიან), ხადურმა კი ხელი მოაწეროს ყოველ ნომინალს.**

**მომავალში შეიძლება ვიფიქროთ ხურდა ფულის (თეთრების) მინისტრების პორტრეტებით დამშვენებაზეც.**

ამოკრიბა

**გია გაბრიჭიძემ**

◎ ინფორმაცია

## სოფელი მოხეში სადავო შენობის საპატრიარქოსთვის გადაცემას ითხოვენ

**ადიგენის** რაიონის სოფელ მოხეში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა, მეუფე თეოდორემ განცხადება გააკეთა.

მეუფე თეოდორეს განცხადებით, სოფელ მოხეში სადავო შენობაში 1595 წელს ეკლესია იყო.

„გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში, 1595 წლისთვის, მოხსენიებულია ზემო და ქვემო მოხე, სადაც დასახლებულები ყოფილან ეთნიკურად ქართველები. ორივე მოხეს ჰქონია თავისი მართლმადიდებლური ეკლესია. სწორედ იმ ადგილას, რომელი შენობაც სადავო გახდა, სამონასტრო კომპლექსი ფუნქციონირებდა. 1920-იან წლებში კი, ამიერკავკასიის ფედერაციის დროს, ახალციხის მაზრის მმართველის გადაწყვეტილებით, დაწყებულა ეკლესიების ნგრევა და მეჩეთების მშენებლობა. თუმცა ამ ადგილას არც მეჩეთის მშენებლობა არ დასრულებულა და შესაბამისად მოქმედი მუსლიმური სალოცავი ამ ტერიტორიაზე არასდროს ყოფილა, — აცხადებს მთავარეპისკოპოსი თეოდორე.

სოფელ მოხეში დაპირისპირება 23 ოქტომბერს მოხდა. ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობა იმ შენობის დემონტაჟს აპროტესტებდა, რომელშიც, მათი თქმით, მეჩეთი იყო. თუმცა, სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული აცხადებს, რომ სოფელ მოხეში მდებარე შენობაში მეჩეთი არასდროს ყოფილა და იქ ბიბლიოთეკა გაკეთდება.

## საქართველო 10 უსაფრთხო სახელმწიფოს შორის

**საქართველო** მსოფლიოს 10 უსაფრთხო სახელმწიფოს შორის მოხვდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს„ ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციიდან აცნობეს.

მათივე ცნობით, მოგზაურებისათვის პოპულარული საიტის, itt.gkfwt-ის მიხედვით, იაპონიის, ტაივანის, ჰონგკონგის, სამხრეთ კორეის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, მალტისა და ლუქსემბურგის შემდეგ საცხოვრებლად უსაფრთხო ქვეყნების სიაში საქართველო მე-8 ადგილს იკავებს. საქართველოს შემდეგ პოზიციებზეა ბაჰრეინი და სინგაპური.

მონაცემებით, საქართველოში კრიმინოგენური ვითარება ძალიან დაბალია, სწორედ ამ კრიტერიუმით მოხვდა საქართველო ტოპ-ათეულში.

See.place-ის მიხედვით, ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარე საქართველო მრავალფეროვნებით და უნიკალური ბუნებით გამოირჩევა, ეს ქვეყანა ტურისტებს შავი ზღვის სანაპიროს, სამკურნალო კლიმატს, ეროვნულ პარკებს, კავკასიონის ქედებს, მინერალურ წყლებს და უგემრიელეს სამზარეულოს სთავაზობს. საქართველოში მდებარეობს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები.

# თემები, რომლებიც გვაღელვებს

**ქართული საზოგადოება ბოლო ხანებში ორმა ამბავმა ააღელვა: პირველი ისაა, რომ თითქოსდა თბილისს ვაშინგტონისათვის თავის ტერიტორიაზე სირიელი ოპოზიციური მებრძოლებისათვის მოსამზადებელი ბაზის შექმნა შეუთავაზებია, მეორის თანახმად კი, თითქოსდა რუსეთი უახლოეს ხანში საქართველოსთან კონკრეტული ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტების განხორციელებას აპირებს (რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადების მიხედვით).**

იმაჩნია, რომ რუსულ-ქართული ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე ლაპარაკი, უბრალოდ, ბლეფია, რადგან არავითარი ერთობლივი პროექტები არარსებობს.

გრიგორი კარასინის მესიჯი პოლიტიკური კონიუნქტურითაა ნაკარნახევი: ამით მოსკოვი აჩვენებს დასავლეთს, რომ რუსეთი მზადაა, საქართველოსთან, დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის პირობებშიც კი, გიგანტური პროექტები, რაღაც ტრანსკავკასიური მაგისტრალების მშენებლობა განახორციელოს, ვთქვათ, დაღესტნის საზღვრის მონაკვეთზე. ცხადია, რომ თუ ორი ქვეყნის ურთიერთობა არ გაუმჯობესდება, ისე ვერავითარი პროექტები ვერ განხორციელდება. ბავშვისთვისაც კი გასაგებია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის პრობლემის მოუგვარებლად არავითარ რუსულ-ქართულ მასშტაბურ თანამშრომლობაზე შეთანხმება არ მოხდება. რუსეთთან დამაკავშირებლი ერთადერთი სატრანსპორტო კომუნიკაცია დარიალის ხეობაზე გადის, რომელიც არასტაბილურად მოქმედებს, რაც შეეხება სოხუმის (თბილისი-სამტრედია-სოხუმი-ფსოუ) და ცხინვალის (თბილისი-ცხინვალი-როკის გვირაბი) მიმართულებებს, ისინი კონფლიქტების გამო უფუნქციოდ არიან დარჩენილნი. აქედან გამომდინარე, საქართველოში კომუნიკაციური პროექტების განხორციელება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზეა დამოკიდებული. აშკარაა, რომ მოსკოვმა, უკრაინის კრიზისის ფონზე, რომელიც რუსეთ-დასავლეთის კონფრონტაციაშიც გამოიხატა, ჩათვალა, რომ საჭიროა კავკასიის მიმართულებით გააქტიურება, განსაკუთრებით კი საქართველოსთან მიმართებით. რა და როგორ განხორციელდება, სათქმელად ძნელია, თუმცა, რუსეთის წინადადება, ალბათ, იგივე იქნება: „საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საფასურად. აფხაზების და ოსების პროტესტებზე რეაგირებას რუსები თავის თავზე აიღებენ...



**რაც შეეხება საქართველოში სირიელ ამბოხებულთა საწვრთნელი ბაზის შექმნას, თბილისი მხოლოდ ჰუმანიტარულ ასპექტებში მიიღებს მონაწილეობას. სამხედრო სახის თანამშრომლობა დიდ რისკებთანაა დაკავშირებული და შეიძლება, ტერორისტული აქტების ტალღა გამოიწვიოს.**

პრეზიდენტ მარგველაშვილს, კვლავაც არაფრით ეთმობა ავლაბრის სააკაშვილისეული სასახლე და დიდ განცდებშია, რომ მას იქაურობა „არ დაატოვებინოს“ კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა გუნდმა!.. საქმე ის არის, რომ გიორგი მარგველაშვილმა პრეზიდენტად არჩევამდეც ბრწყინვალედ იცოდა, რომ ქვეყნის პოლიტიკური მოწყობა საპარლამენტო რესპუბლიკისაკენ უნდა წასულიყო, რასაც შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებები და მისი, როგორც პრეზიდენტის ინსტიტუტის მხრიდან ხელშეწყობა უნდა მოჰყოლოდა, რისი პირობაც მან დადო იმ პიროვნების წინაშე, ვისი დიდი მონდომების წყალობით პრეზიდენტის პოსტი დაიკავა! მაგრამ, მან პრეზიდენტად არჩევის პირველივე დღეებიდან საპრეზიდენტო „ამბიციები“ გამოამჟღავნა და „პრეზიდენტის ინსტიტუტის დამცველის“ მანტია მოირგო! მოკლედ, „გაუტკბა და მოეწონა პრეზიდენტობა“ და ალბათ, მეორე ვადით არჩევის სურვილიც გაუჩნდა!.. ავლაბრის სასახლეშიც, უმალ გადაბარგდა თავის „ამალასთან“ ერთად, არადა „პრეზიდენტობამდე“ იქ გადასვლის სასტიკი წინააღმდეგი იყო!.. მოკლედ, მრავალ საკითხთან მიმართებაში მარგველაშვილმა არაფრად ჩააგდო ბიძინა ივანიშვილის და იმ პოლიტიკური გუნდის აზრი, რომელმაც მარგველაშვილი პრეზიდენტის თანამდებობაზე მოიყვანა!.. დიახ, რომ არა მათი მხარდაჭერა, შარშანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში მარგველაშვილზე მეტ პროცენტებს, ალბათ, ნაცმოძრაობის კანდიდატი ბაქრაძე და ლეიბორისტი ნათელაშვილი მიიღებდნენ!..

პოლიტიკაში ყველაფერი შედარებითია და მოდით, ვნახოთ „პროცენტებში“, თუ ვინ და როგორ „გახდა“ წარსულში საქართველოს პრეზიდენტი...

საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში:

**1990 წელი – ზვიად გამსახურდია – 87%;**

**1995 წელი – ედუარდ შევარდნაძე – 74%;**

**2004 წელი – მიხეილ სააკაშილი – 96%;**

სამივე მათგანმა „თავისი ხმები“ მიიღო, რაც იმდროინდელ რეიტინგს ასახავდა და ვერავინ იტყვის, რომ მათ მიერ მიღებულ პროცენტებში ვინმეს „წილი ან დამსახურებაა“!..

**2013 წელი – გიორგი მარგველაშვილი – 62%;**

აი, აქ კი, სულ სხვაგვარადაა საქმე და იქნებ ვინმემ დაუსვას ბ-ნ მარგველაშვილს კითხვა, – რამდენ პროცენტს შეადგენს მისი პირადი „რეიტინგი, წილი და დამსახურება“ ამ 62%-ში?!

მოკლედ, პრეზიდენტ მარგველაშვილს „ქართულ ოცნებასთან“ დაძაბულობა მოეხსნება, თუ ავლაბრის სასახლიდან ათონელის რეზიდენციაში გადავა, თუ არადა, პოლიტიკური დაპირისპირება მის კარიერას არაფერს კარგს არ უქადის და ისტორიაც იმ ადგილს „მიუჩენს“, რომელსაც დაიმსახურებს!..

დიახ, **მიმაჩნია, რომ ავლაბრის სასახლე უნდა გადაეცეს საქართველოს კულტურის სამინისტროს იმ მიზნით, რომ ხსენებულ ყოფილ რეზიდენციას ეწოდოს, – „ქართული კულტურის სასახლე“ – სადაც განთავსდება და დაცულ იქნება, ქართველი ერის მიერ მრავალსაუკუნოვანი არსებობის და მოღვაწეობის მანძილზე შექმნილი და დღემდე მოტანილი უმნიშვნელოვანესი და შეუფასებელი ქართული კულტურის ძეგლები“!**

დიდმა ექვთიმემ (თაყაიშვილი), – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად – ღვთისკაცად შერაცხულმა, უფლის მფარველობით უამრავ განსაცდელს და გაჭირვებას გაუძლო, რათა საქართველოს განძი, მისი კულტურის სიდიადე შთამომავლობისთვის გადაერჩინა და საქართველოში უდანაკარგოდ ჩამოეტანა, მისი ეს ნაღვაწი უცილობლად იმსახურებს იმას, რომ ქართულმა საზოგადოებამ „ქართული კულტურის სასახლეს“, დიდი ქართველი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის (ღვთისკაცის) სახელი მიანიჭოს!!!

**მართლაც ფარისევლობას დაემსგავსა ქართულ პოლიტიკაში გავრცელებული მოვლენა, როდესაც მასმედიაში ნებისმიერ თემაზე გამართული დებატებისას, ჩვენი „მაკიაველისდარი“ პოლიტიკოსების უმრავლესობა იმისათვის, რომ „დაამტკიცოს“ საკუთარი პროდასავლურობა საუბარს იწყებს და ამთავრებს – დასავლური „ღირებულებების და ფასეულობების ფუნდამენტალურ“ მნიშვნელობაზე და მათდამი „ერთგულებას გვეფიცება“!** საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური სპექტრის უმრავლესობის რეპუტაცია ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, სამწუხაროდ, მათი უდიდესი ნაწილის გულწრფელობის და პროფესიონალიზმის ქართულ საზოგადოებას არ სჯერა და ეს, ობიექტური რეალობაა!.. უბრალოდ, ჰიპოთეტურად წარმოიდგინეთ, რომ ძირითად კონვერტირებად ვალუტებთან მიმართებაში ლარის კურსის ცვლილება მოხდეს, მაგალითად, თუ აშშ დოლარი და რუსული რუბლი „ადგილებს გაცვლიან“, ანუ დღევანდელი კურსით – 1 რუსული რუბლი გახდება 1 ლარი და 75 თეთრი, ხოლო 100 აშშ დოლარი ეღირება 6 თეთრი, – მაშინ, გარწმუნებთ ყველას, რომ ჩვენი პოლიტიკოსი „ციცერონების“ 95%, საკუთარ პოლიტორიენტაციას უმალ „დაივიწყებს“ და უსწრაფესად, მოსკოვ-პეტერბურგის ავიარეისებზე ბილეთების შეძენას დაიწყებს (ბანკებში რუბლის კონვერტირებისათვის „დამდგარ“ რიგებზე აღარას ვამბობ)!!

დღეს, საქართველოს უშიშროების სამინისტროს არსებობა სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მავანთ კი, სათანადოდ არ ესმით სახელმწიფოს უშიშროების მნიშვნელობა და იმ პროფესიონალების როლი, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებით არიან დაკავებული, ან, უნდა იყვნენ ჩართული ამ პროცესში. მიმაჩნია, რომ ამ მიმართულებით საკადრო პოლიტიკის თვალსაზრისით ხდება შერჩევითი მიდგომა, სადაც მთავარი პრინციპია – „მხოლოდ პირადი ერთგულება“!

ეს კი, ქართულ სახელმწიფოს სიკეთეს არ მოუტანს!

დიახ, მე როგორც პოლიტოლოგს და როგორც საქართველოს მოქალაქეს, ძალიან კარგად მესმის, თუ რა ადგილი უკავია სუვერენული სახელმწიფოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის უსაფრთხოების და უშიშროების საკითხებს, ქვეყნის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად!

მაგრამ, დღეს არსებული მიდგომებით და სტრუქტურებით, მათი რეფორმირების გარეშე შეუძლებელი იქნება სასურველი შედეგის მიღწევა. მით უმეტეს, გამწვავებული საერთაშორისო გეოპოლიტიკური რეალობა გვკარნახობს, რომ ახალ სიტუაციაში სწრაფად მოვახდინოთ პრიორიტეტების გამოკვეთა და პრევენციების შემუშავება.

ჩვენ აქტიურად უნდა ვიმუშაოთ ყველა მიმართულებით, რადგანაც ისეთ სუბრეგიონში ვიმყოფებით, რომ „მშვიდი და წყნარი“ ვითარება ძნელად მისაღწევია...

ამიტომ, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ გარკვეული კონსულტაციები გაიაროს ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან, რათა უმოკლეს პერიოდში ჩამოაყალიბოს დამოუკიდებელი სახელმწიფო სტრუქტურა – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სახით! რაც, უამრავ პრობლემას მოხსნის დღევანდელი შსს-ს გამართულად ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და ერთმნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის და სუვერენიტეტის განმტკიცების გზაზე!..

ოკუპანტ რუსეთსა და სეპარატისტულ აფხაზეთს შორის მოსალოდნელი ხელშეკრულების დადებაზე და მის შინაარსზე საუბარი, ალბათ ცალკე წერილის თემა იქნება, მისი მოცულობიდან გამომდინარე, მაგრამ ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ, რომ თუკი რუსეთი საქართველოს დასავლური კურსიდან ვერ გადაახვევინებს, მაშინ მოსკოვის სტრატეგიული ინტერესი და მიზანია აფხაზეთის რუსეთთან მიერთება და არა, აფხაზეთის „დამოუკიდებლობის აღიარება“ საქართველოს მიერ!

რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში, დასავლეთიც აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, რასაც ლოგიკურად მოყვება აშშ-ის, გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და სხვა ევროპული სახელმწიფოების მხრიდან, მათ შორის, მეზობელი თურქეთის მიერ ქალაქ სოხუმში ევროპის სახელმწიფოების საელჩოების და საკონსულოების გახსნა, რაც აფხაზეთის დასავლურ სამყაროში ინტეგრირების მომასწავებელი იქნება!

ეს კი, არამც და არამც არ გახლავთ მოსკოვის ინტერესი, რადგანაც დასავლეთის მიერ აღიარებული აფხაზეთის შემდეგი ნაბიჯი გახდება ის, რომ დასავლეთში ინტეგრირებული აფხაზური საზოგადოება დაბეჯითებით მოითხოვს რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას დამოუკიდებელი აფხაზეთის ტერიტორიიდან, რასაც მთელი დასავლური სამყარო დაუჭერს მხარს!..

ასე რომ, ცოტა მეტი დაფიქრება გვმართებს ქართველებს, თუ რა და როგორ დაველაპარაკოთ, ცალკე რუსეთს და ცალკე აფხაზებს (ოსებს)... მით უმეტეს, ეს უნდა კარგად ესმოდეთ, – ხელისუფლებას, პოლიტიკოსებს, ექსპერტებს, ჟურნალისტებს და სხვებს...

საქართველოს და რუსეთის პირველი პირების პირისპირ შეხვედრა ნეიტრალურ მესამე ქვეყანაში აუცილებლად უნდა მოხდეს.

იმ ქართველ პოლიტიკოსებს, მიუხედავად იმისა, ხელისუფლებაში არიან ისინი თუ ოპოზიციაში, ვინც მოითხოვს აბაშიძე-კარასინის ფორმატის გაუქმებას და, რუსეთის და საქართველოს პირველი პირების დიალოგის დაწყებას დაუშვებლად ან ნაადრევად მიიჩნევს, ელემენტარული წარმოდგენა არა აქვთ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკურ პროცესებზე (უკრაინის კრიზისი) და მათი ამგვარი პოლიტიკური სიბეცე დამღუპველი იქნება საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებისათვის!..

**მიმაჩნია, რომ თვისობრივად ახალი და გაფართოებული სახე უნდა შეიძინოს აბაშიძე-კარასინის ფორმატმა. უწინარეს ყოვლისა, უნდა მოხდეს ზურაბ აბაშიძის სტატუსის ამაღლება საგარეო საქმეთა მინისტრის დონეზე, შესაბამისად, რუსეთის მხრიდანაც ამ ფორმატს შეუერთდება საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი.**

ასეთი დონის ფორმატი კი, გვერდს ვერ აუვლის საერთაშორისო მონიტორინგს და მეტიც, საერთაშორისო მედიატორების ჩართვის აუცილებლობას, რაც ჩვენს ინტერესებშია. ხოლო, ჟენევის ფორმატმა პარალელურ რეჟიმში უნდა განაგრძოს ფუნქციონირება (მას თავისი სპეციფიკა აქვს, სადაც აფხაზური და ოსური მხარეებიც მონაწილეობენ!).

ამგვარად, წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება თუ გარკვეული დროის შემდეგ გერმანიის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებიც შეუერთდებიან აბაშიძე-ლავროვის განახლებულ და გაფართოებულ ფორმატს... დიახ, დაუყოვნებლივ, საქართველოს ხელისუფლებამ ამისკენ უნდა მიმართოს თავისი ძალისხმევა.

აგრეთვე,მიმაჩნია, რომ საქართველოს და რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელი პირების პირისპირ შეხვედრა მესამე ქვეყანაში აუცილებელია, რათა ყველანაირად გამოირიცხოს რუსეთის მხრიდან „რაიმე სახის“ აგრესიული ქმედება და – ევროკავშირის ჩართულობით დაიწყოს ყოვლისმომცველი დიალოგი, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის!..



**ჯუმბერ კირვალიძე,**
პოლიტოლოგი

ოპოზიციონერის „სამართალი“

# „უცილობლობს ვითა ჯორი!“




## ნაციონალების ბოიკოტს, შესაძლოა, ლევან ბეჟაშვილის პოსტი შეეწიროს

**ნაციონალური მოძრაობის წევრი ლევან ბეჟაშვილი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას ულტიმატუმს უყენებს, სხდომები თბილისში მდებარე პარლამენტის შენობის ნაცვლად იუსტიციის სახლში ჩაატაროს, მმართველი გუნდი კი ოპოზიციონერი დეპუტატის დასჯას მისი პოსტიდან გათავისუფლებით აპირებს.**

ლევან ბეჟაშვილი, რომელიც დამოუკიდებელი კონსტიტუციური ინსტიტუტების საკითხთა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელია, პროტესტის ნიშნად ჩანიშნულ სხდომას თავად არ დაესწრო და შემოთვალა, რომ რუსთაველის გამზირზე მდებარე პარლამენტის ისტორიულ შენობაში მისვლას არ გეგმავს.

for.ge-სთან საუბარში ბეჟაშვილი ბოიკოტის მიზეზს განმარტავს და ამბობს, რომ კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის შეკრების და საქმიანობის ადგილი არის ქუთაისი. შესაბამისად, თბილისში მდებარე ე.წ. პარლამენტის შენობაში ჩატარებული სხდომები არაკონსტიტუციურია.

**„მით უმეტეს, როცა საქმე კონსტიტუციაზე მომუშავე კომისიას ეხება, მათთვის უმთავრესი კონსტიტუციის პატივისცემა უნდა იყოს. შეხვედრა იუსტიციის სახლში უნდა ჩანიშნულიყო, როგორც ეს ადრე ხდებოდა, მაგრამ რატომღაც, ამ შეთავაზებაზე უარი მივიღეთ და პარლამენტის თავმჯდომარესთან კონსულტაციების გამართვა ვერ მოხერხდა. ეს შეხვედრა ჰაერში გამოკიდებული დარჩა“,** — ამბობს დეპუტატი, რომელსაც ამავე ჯგუფის წევრი და დეპუტატი **თინა ხიდაშელი** აკრიტიკებს.

კანონმდებლის თქმით, ბეჟაშვილს უფლებას არ მისცემენ, რომ სამუშაო ჯგუფის პარალიზება მოახდინოს.

ნაციონალების ბოიკოტის ფორმის შეფასებისას ხიდაშელი ყურადღებას იმაზე ამახვილებს, რომ უმცირესობის წევრები თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაში გამართულ ოფიციალურ შეხვედრებს ესწრებიან.

**„ეს ბოიკოტი უკვე დარღვეულია, რადგან გუშინ, ბობოხიძე მთელი დღე აქ იყო და სხვადასხვა სხდომას დაესწრო, ხოლო ბარამიძეს პრობლემა არ აქვს უცხოელ დელეგაციებთან შეხვედრებს დაესწროს. როგორც ჩანს, იქ სადაც საქმეა საკეთებელი, არ მოდიან და სადაც თავია მოსაწონებელი და გამოსაჩენი, იქ მოსვლის პრობლემა არ აქვთ“,** — ამბობს დეპუტატი.

თინა ხიდაშელი არ გამორიცხავს, რომ იმ შემთხვევაში თუ, ბეჟაშვილი მომდევნო სხდომებსაც არ დაესწრება, მისი პოსტიდან გათავისუფლება მოხდეს.

ოპონენტის მუქარის საპასუხოდ, ბეჟაშვილი აცხადებს, რომ მისთვის პოსტი მნიშვნელოვანი არ არის, მთავარია, სამუშაო ჯგუფის წევრებმა კონსტიტუციას სცენ პატივი.

**„ვერ დაგეთანხმებით, რომ ნაციონალური მოძრაობა ორმაგი სტანდარტით ხელმძღვანელობს, როცა დელეგაციებს ხვდება და როცა სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს არ ესწრება. თუ დელეგაციების სტუმრობის დროს სხვა ფორმატი იმის საშუალებას არ იძლევა, რომ სტუმარს შეხვდე და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდო, მაშინ შეხვედრას უნდა დაესწრო. პრობლემა შენობაში შესვლაზე კი არ გვაქვს, არამედ სტატუსზე. შეიძლება, მაგ შენობაში უსუფაშვილს ჩაიზე შევხვდე, მაგრამ ოფიციალური სტატუსით მუშაობა არ უნდა წარიმართოს. ცხრა წლის მანძილზე, ქვეყნის განვითარებისთვის ჩვენ რომ ვიმუშავეთ, ეს „ქართულ ოცნებას“ არც დაესიზმრება. შეცდომები იყო, მაგრამ უდიდესი წარმატებებიც გვქონდა“,** — განუცხადა for.ge-ს ბეჟაშვილმა, რომელიც აანონსებს, რომ პარლამენტის ნაწილობრივ თბილისში დაბრუნების თაობაზე უმცირესობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს.

ლევან ბეჟაშვილი შეინარჩუნებს თუ არა დამოუკიდებელი კონსტიტუციური ინსტიტუტების საკითხთა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის თანამდებობას, ეს 3 ნოემბრამდე გადაწყდება, რადგან როგორც for.ge-ს ჯგუფის წევრმა კახა კახიშვილმა განუცხადა, ჯგუფი ბეჟაშვილთან კონსულტაციების გზით ეცდება, მუშაობა გაგრძელდეს.

**„თუ მისგან უარი იქნება, ხელმძღვანელის შეცვლაზე ვიფიქრებთ“,** — ამბობს კახიშვილი, რომელიც განგვიმარტავს, რომ ეს ჯგუფი მუშაობს — უშიშროების საბჭოს, სახალხო დამცველის, აუდიტის სამსახურის, პროკურატურისა და რამდენიმე უწყების კონსტიტუციური მოწყობის საკითხებზე.

for.ge-ს ინფორმაციით, 3 ნოემბერს ჩანიშნულ სხდომას ლევან ბეჟაშვილის ნაცვლად, შესაძლოა, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი გიორგი კვერენჩხილაძე წარუძღვეს.

**თეონა მანაგაძე**

„ბრძოლა“ სტრასბურგის სასამართლომდე მივა...

# საგამომცემლო ბიზნესი იძირება!

**მიმდინარე წლის იანვრის ბოლოს დაწყებული სასამართლო დავა ოთხ გამომცემლობასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის 22 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ სამინისტროს სასარგებლოდ დაასრულა. გამომცემლობები იმ ზარალის ანაზღაურებას მოითხოვენ, რომელიც მათ სამინისტროს გადაწყვეტილების შედეგად მიადგათ. განათლების ყოფილი მინისტრისა და ამჟამად საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ინიციატივით, უკვე მეორე წელია გამომცემლობებს ჩამოერთვათ სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვისა და გამოცემის უფლება. წიგნებს, სახელმწიფოს დაკვეთით, ერთი „გაერთიანებული ქართული სტამბა“ ბეჭდავს და საჯარო სკოლების მოსწავლეებს უფასოდ ურიგდებათ. რა ბედი ელის ქართული გამომცემლობების ნაწილს და რას აპირებენ ისინი?**

გამომცემლობები „ ინტელექტი“, „დიოგენე“, „არტანუჯი“ და „ლოგოს პრესი“ თითქმის ერთი წლის წინ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინააღმდეგ გაერთიანდნენ. სარჩელის მიხედვით, რომლითაც მათ სასამართლოს მიმართეს, განათლების სამინისტრომ, რომელმაც საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგება მათ მფლობელობაში არსებული საავტორო უფლებების მითვისებით გადაწყვიტა, გამომცემლობებს სოლიდური ზიანი მიაყენა. გადაწყვეტილების შესახებ განათლების ყოფილმა მინისტრმა, საქართველოს ამჟამინდელმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 2013 წლის 8 აპრილს განაცხადა. საავტორო უფლებების აღდგენისა და მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხზე დაწყებულმა დავამ ცხრა თვეს გასტანა, ამასობაში კი გამომცემლობები დახურვის პირას მივიდნენ.

**თამარ ლებანიძე** გამომცემლობა „დიოგენეს“ დირექტორია. დღეს მას გამომცემლობაში შექმნილ ურთულეს მდგომარეობაზე საუბარი უჭირს.

**— ჩვენ გვქონდა რამდენიმე წელზე გათვლილი ამბიციური პროექტები, რომლებსაც სწორედ სახელმძღვანელოების დაბეჭდვიდან მიღებული თანხებით წარმატებით ვახორციელებდით, დღეს კი უმძიმეს ფინანსურ პრობლემებს ვეღარ ვუმკლავდებით“,** — გვეუბნება თამარი. — **„ჩვენ ის, რაც დავიწყეთ ორი წლის წინ, სამი წლის წინ, ზოგი პროექტი დაწყებულია ოთხი წლის წინ, აი, ეს ვალდებულებები გვაწევს ზურგზე და ეს ვალდებულებები გასასტუმრებელია. არის რაღაც ვალდებულებები, რომელიც შემდეგ უარეს ფინანსურ სანქციებს გაკისრებს. აი, ეს ყველაფერი, მთლიანობაში, ძალიან გვირთულებს ფინანსურ მდგომარეობას. ერთი ან ორი წელი რომ ეცლიათ ჩვენთვის, ან გარდამავალი პერიოდი მოეცათ და ჩვენ გვქონოდა შესაძლებლობა, რომ ჩვენს გეგმებში კორექტივები შეგვეტანა, სხვანაირად მოვიქცეოდით. ეს იყო აბსოლუტური შოკი ჩვენთვის,** — ამბობს თამარ ლებანიძე.

**კახმეგ კუდავა,** გამომცემლობა „ინტელექტის“ დირექტორი, ფიქრობს, რომ მისი გამომცემლობა მომდევნო ერთი წლის მანძილზე მოახერხებს თავის გატანას, თუმცა, რა იქნება შემდეგ, არ იცის. მისი თქმით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ერთპიროვნული გადაწყვეტილება ისე მიიღო, რომ გამომცემლობებთან არავითარი წინასწარი მოლაპარაკებები არ უწარმოებია, არ შეუსწავლია ის საფრთხეები, რომლებიც სამინისტროს გადაწყვეტილებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა: **„თუკი მხატვრულ ლიტერატურაზე ძალიან დიდ ფასდაკლებებს გავაკეთებთ, თუ საწყობებს გავყიდით, თუ წიგნის მაღაზიას გავყიდით, თუკი სტამბის დანადგარებს გავყიდით, შეიძლება გადავრჩეთ ერთი-ორი წლით. მაგრამ მგონია, რომ აქამდე არ მივა საქმე, რადგან ჩვენ ეს პროცესი უნდა მოვიგოთ და უნდა მივიღოთ იმ ზარალის ანაზღაურება, რასაც მოვითხოვთ“,** — ამბობს კახმეგ კუდავა.



ოთხი გამომცემლობის საერთო ზარალი კი, კახმეგ კუდავას თქმით, 15 მილიონ ლარს შეადგენს. როგორც ის განგვიმარტავს, ზარალის რაოდენობა მათი პირადი შეხედულებებით არ გამოთვლილა, გამომცემლობებმა ზარალის დასათვლელად საერთაშორისო აუდიტი მოიწვიეს. ზარალი გაიყო ორ ნაწილად: პირველი — უკვე დამდგარი ზარალი და მეორე — მოსალოდნელი.

**„ჩვენ გვქონდა გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ ექვსწლიანი ხელშეკრულება. შესაბამისად, ეს 15 მილიონი გაანგარიშებულია იმაზე, თუ რა ზარალი მიადგება ამ ოთხ გამომცემლობას ექვსი წლის მანძილზე“,** — ამბობს კახმეგ კუდავა.

გამომცემლობა ინტერესების ერთ-ერთი დამცველი სასამართლოში **გიორგი ბათლიძეა**. ის გვიხსნის, რომ განათლების სამინიტროს არც საავტორო უფლებების დამცავი ნორმებიდან გამომდინარე და, მით უფრო, არც ადმინისტრაციული სამართლის გაწესებიდან გამომდინარე, არ ჰქონდა უფლება, გამომცემლების ნებართვის გარეშე გამოეყენებინა მათი ინტელექტუალური საკუთრება მათთვის სათანადო ანაზღაურების გარეშე. ის გვეუბნება, რომ გამომცემლობებმა სახელმწიფოსგან მიზერული კომპენსაცია, წიგნის ბეჭდვის საფასურის 10 % მიიღეს. გიორგი ბათლიძის სიტყვებით, სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძვლად იქცა ის საკანონმდებლო აქტი, რომლის ძალითაც გამომცემლებს საკუთრების უფლება შეეზღუდათ. საქმე ეხება განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრის დიმიტრი შაშკინის 2010 წლის 25 თებერვალს გამოცემულ ბრძანებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოსთვის გრიფის მინიჭების წესის შესახებ. ამ აქტის მიხედვით, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ აამოქმედა, სახელმწიფო, სურვილის შემთხვევაში, გამომცემლობათა ნების მიუხედავად, მათი ინტელექტუალური საკუთრების მფლობელი ხდება.

**„ძალიან კომპლექსური მსჯელობა შეიძლება წარიმართოს იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება სახელმწიფომ გამოიყენოს სხვისი საკუთრება ისე, რომ მას სათანადო და სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების მიღების უფლება შეუზღუდოს და გადასცეს სხვას. ეს საბჭოთადროინდელ გაკულაკებას ჰგავს. მე, სახელმწიფომ, დავადგინე რაღაც თამაშის წესები — არათუ პარლამენტმა დაადგინა ან მთავრობამ, არა — და მერე ეს უკანონო წესი კიდევ უფრო უკანონოდ განვახორციელე. ეს არის ჩვენი დავის საგანი. და მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ გამომცემლობებს ეყოფათ ძალა და შემართება, რომ ეს საქმე ბოლომდე მივიდეს“,** — ამბობს გიორგი ბათლიძე.

გამომცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელი კახმეგ კუდავა ფიქრობს, რომ განათლების სამინისტროს ამგვარი დამოკიდებულება გამომცემლობებისადმი ეწინააღმდეგება სახელმწიფო პოლიტიკასაც. მაშინ როცა 2018 წელს საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე სტუმარი ქვეყნის სტატუსით უნდა წარსდგეს, ქართულ საგამომცემლო ბიზნესს სრული ფიასკო ელის. მისი სიტყვებით, ქართული საგამომცემლო ბიზნესი იძირება.

რაც შეეხება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, როგორც უწყების წარმომადგენელმა ირაკლი კოპალიანმა სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მედიასთან საუბრისას თქვა, მას მიაჩნია, რომ გადაწყვეტილება არის კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. თავის მხრივ, ოთხი გამომცემლობა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ძალაში დატოვებს, გამომცემლობები ბრძოლას სტრასბურგის სასამართლოში გააგრძელებენ.

**ნინო თარხნიშვილი,**
რადიო „თავისუფლება“

ბრალდების მრჩევლები

# სააკაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის რეკომენდაციას იძლევიან

**ბრალდების მრჩეველთა საერთაშორისო ჯგუფი, 2005 წელს პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილზე განხორციელებულ თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს მთავარ პროკურორს გიორგი ბადაშვილს რეკომენდაციით მიმართავს, რომ მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ერეკლე კოდუასა და გია სირაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდეს.**

**For.ge ტექსტს უცვლელად გვთავაზობს:**

ძვირფასო ბატონო,

თქვენი თხოვნის შესაბამისად ჩამოვაყალიბეთ ბრალდების მრჩეველთა საერთაშორისო ჯგუფი, რათა დროდადრო მოგაწოდოთ ჩვენი წერილობითი მოსაზრება თქვენი ოფისის მიერ წარმოებულ გარკვეულ გამოძიებებთან დაკავშირებით. ამასწინათ, თქვენ გვთხოვეთ, რომ შეგვესწავლა თქვენი ოფისის მიერ მოწოდებული მასალები, რომლებიც შეეხება 2005 წლის 14 ივლისს ქ. თბილისში, ვალერი გელაშვილისა და სხვათა მიმართ განხორციელებულ თავდასხმის ფაქტს. თქვენი თხოვნის შესაბამისად, ჩვენ უნდა მოგაწოდოთ შეფასება პროკურატურის წარმოებაში არსებულ მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით და მოგცეთ რჩევა, ამ ეტაპზე უნდა გაგრძელდეს თუ არა ბრალდებულთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.

საქმის შესწავლის პროცესში, ჩვენ შეგხვდით თქვენ და თქვენს თანამშრომლებს თბილისში, 2014 წლის 20-22 ივლისს იმ მიზნით, რომ განგვეხილა საქმე და მოვემზადებულიყავით საქმის მასალების შესწავლისთვის. შემდგომში თქვენ მოგვაწოდეთ წერილობითი ანგარიში, რომელიც შეიცავდა მოწმეთა ჩვენებებს ექსპერტიზის დასკვნებს, სასამართლო ოქმებს, შესაბამის კანონმდებლობასა და დაკავშირებულ მასალებს, რომელთა უმრავლესობა უკვე ხელმისაწვდომია ბრალდებულებისთვის. ჩვენ შევისწავლეთ აღნიშნული ანგარიში და მასალები და თქვენგან დამატებითი ინფორმაცია მოვითხოვეთ, რომელიც მოგვაწოდეთ 2014 წლის 9 ოქტომბერს. 2014 წლის 22 ოქტომბერს ჩვენ დავბრუნდით საქართველოში თქვენთან და თქვენს თანამშრომლებთან დამატებითი განხილვების მიზნით, რა დროსაც თქვენ მოგვაწოდეთ დამატებით მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, რომლებსაც წარვადგენთ სასამართლოში. ჩვენ ასევე მიმოვიხილეთ სისხლის სამართლის დანაშაულები. ჩვენი წინასწარი შეფასება ეფუძნება მხოლოდ თქვენ მიერ მოწოდებულ მასალებსა და თქვენთან და თქვენს თანამშრომლებთან ერთად წარმოებულ განხილვებს. როგორც თქვენ აღნიშნეთ, ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს და ბრალდების მხარე განაგრძობს მტკიცებულებების შეგროვებას, განსაკუთრებით იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ შეხვედრის დროს.

იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც ამ დროისთვის არის ხელმისაწვდომი და რომლებიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოგვეწოდა, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი წინასწარი დასკვნა: ჩვენ გვჯერა, რომ არსებული მასალები არის სამართლებრივად და, ფაქტობრივად, საკმარისი, რათა მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ერეკლე კოდუასა და გია სირაძის მიმართ განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა სხვადასხვა დანაშაულებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ვალერი გელაშვილის მიმართ 2005 წლის 14 ივლისს განხორციელებულ ფიზიკურ შეურაცხყოფასთან. ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ უნდა განაგრძოთ გამოძიება და მიმართოთ სასამართლოს, სადაც ყველა დარჩენილი საკითხი იქნება განხილული შეჯიბრებითს პროცესში.

ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ეს დასკვნა არის წინასწარი და, შეიძლება, დაექვემდებაროს სამომავლო გადასინჯვას, თუ გამოძიება გაგრძელდება და ჩვენს ჯგუფს წარედგინება დამატებითი მტკიცებულებები.



დასასრულ, ვსარგებლობთ შემთხვევით, რათა კმაყოფილება გამოვხატოთ თქვენი, პროკურორებისა და გამომძიებლების ამ საქმეზე მუშაობასთან დაკავშირებით. შეხვედრების დროს ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათმა პატიოსნებამ და გულწრფელობამ. გვსურს, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ გამოძიება ჩატარდა კეთილსინდისიერად და პროფესიონალურ დონეზე.

კიდევ ერთხელ გმადლობთ თანამშრომლობისთვის და ვიმედოვნებთ, რომ მომავალში კვლავაც განვაგრძობთ თქვენთან მუშაობას.

პატივისცემით,

**პოლ კოფეი, მოშე ლადორი, სერ ჟოფრეი ნაისი**

**ბლოგები, For.ge**

სხვის თვალში ბეწვს ამჩნევენ...

**დღეს პარლამენტში, ბრიფინგზე, შეხვედრებსა და ა. შ. ხშირად გაისმის ოპოზიციად წოდებული საპარლამენტო უმცირესობის ახალი სახეების ვნებამორეული მოსაზრებები მათი გუნდის, „ნაცების“ ოჯახის წევრებით, ნათესავებით, ახლობლებით, უბრალოდ, კოალიციისადმი ერთგულებით გამორჩეულთა შევსების თაობაზე. ექსპერტები, ანალიტიკოსები მსგავს მოვლენებს საქართველოს რეალობაში არ გამორიცხავენ. მავნე სენი ნეპოტიზმისა, ჩვენს საზოგადოებას კომუნისტური ეპოქიდან მოჰყვება და მისი ერთბაშად აღმოფხვრა, შეუძლებლად მიაჩნიათ. ამას წლები დასჭირდება, თვლიან ანალიტიკოსები. მაგრამ მათსავე გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ამ თემაზე ყველაზე ცხარე კრიტიკა ისმის სწორედ მათგან, ვინც წინა ხელისუფლების დროს თავად იყვნენ ჩართული დედმამიშვილურ, ნათესაურ და სხვა სახის კარიერულ საქმეებში და თავადაც მშვენივრად იყენებდნენ „ძლიერთა ამა ქვეყნისათთან“ პარტიულ თუ სხვა სახის ახლო ურთიერთობებს.**

**სოციოლოგები, ფსიქოლოგები ამ კატეგორიის ხალხის გააქტიურებას საკუთარის გადაფარვის მცდელობით ხსნიან. სოციოლოგი ნანა ქემაშვილი ამბობს, რომ სხვის ნაკლზე ყურადღებას ამახვილებენ ისეთები, რომლებსაც თვითონ გააჩნიათ ამგვარი დეფექტი, ან უბრალოდ ვერ ხედავენ მას საკუთარში და ამჩნევენ სხვისაში. მრავალი საერთაშორისო ექსპერტის დასკვნითი ტესტირების დროს (რაც ჩვენში მივიწყებულია), ეს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ადამიანის სახელმწიფო თანამდებობებზე, არჩევით ორგანოებში კანდიდატურის წამოყენების, უფლების მინიჭების, სამართალდამცავ ორგანოებში და ა. შ. დანიშვნის დროს.**

**ფსიქოლოგ ნინო შერეზადაშვილს კი მიაჩნია, რომ ამ ტიპის ადამიანები მუდამ ეძებენ ნაკლს სხვაში. უარყოფითის ძებნით არიან გართულნი საზოგადოებაში, სამსახურში, ოჯახშიც კი. ამის გამო ხშირად უქმნიან დისკომფორტს გარშემო მყოფთ, მათი გამოყენება ადვილად შეუძლიათ გავლენიან პირებს, პოლიტიკოსებს, განსაკუთრებით, სპეცსამსახურებს სხვადასხვა ინფორმაციების (ყალბი, მათთვის საჭირო) გავრცელებისას, სხვათა დისკრედიტაციისთვის. მთავარია იყო გეზის, კურსის დანიშნულებისამებრ მიმცემი, ხოლო სხვის თვალში ბეწვის შემმჩნევი, საკუთარში კი დირესი — ვერა, წარმოადგენენ კომუნიკაბელურ პიროვნებებს. სხვათა ნაკლოვანებების შემჩნევთ (გამოსაყენებელთ) ნელ-ნელა უვითარდებათ განდიდების მანია. მათთვის მთავარი ხდება საკუთარი სურვილებისა და კეთილდღეობის წარმატებით აღსრულების შემთხვევაში ნებისმიერი ლაფში გასვარონ, ცილი დასწამონ სხვას. დროთა განმავლობაში ეს მათი სულიერი მოთხოვნა ხდება, — გვიმტკიცებს შერეზადაშვილი.**

# ყველამ თავის თავში ჩაიხედოს

**„რუსთავი-2“-ის ჟურნალისტი 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან საქართველოს პარლამენტის (წაგებული გუნდის) წევრია. მაგრამ მასმედიის „გამარჯვებული ხალხის“ ტელევიზიის რიგითი ჟურნალისტობიდან უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრობამდე არა ერთი საჯარო თუ საზოგადოებრივი საქმიანობის რეჟიმში განვლო.**

ვითომ დამოუკიდებელი ტელეკომპანიის ჟურნალისტი ირმა ნადირაშვილი, ყველასათვის მოულოდნელად 2007 წელს ინიშნება ნავთობისა და გაზის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილედ, ისე რომ, „რუსთავი-2“ არ მიუტოვებია. პარალელურად ოფიციალურ შტაბში მუშაობდა ჯანდაცვის სამინისტროს პიარ დეპარტამენტში უფროსის თანამდებობაზე. იმავე წელს ოფიციალურად იღებდა ხელფასს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციაში და „ინტერნიუსშიც“. არასამთავრობოების კვლევის შედეგად აღმოჩნდა, ყოვლისმომსწრე ირმა მუშაობდა 2 საჯარო უწყებაში (რაც კანონის იგნორირება კი არა, უფრო ზრდილობიანად რომ ვთქვათ, ფეხქვეშ გათელვაა), იყო კონსულტანტიც და „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ ჟურნალისტიც.

„ნაცებისათვის“ გაწეული სამსახურისთვის ირმა-ჟურნალისტი რეგიონალურ საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მრჩევლად ინიშნება 2008 წელს. ყველა დანარჩენი რეგალიები, ხელფასი მას უნარჩუნდება, პარალელურად „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტიცაა და ამ არხის პროდიუსერიც, — ნათქვამია ა/ო კვლევის შედეგებში.

2009 წელს კიდევ უფრო წინ მიდის თანამდებობებს ჩაბღაუჭებული ჩვენი წერილის გმირი, იგი სახელმწიფო მინისტრის მრჩევლის თანამდებობას მშვენივრად უთავსებს ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩევლის რანგში თანამდებობას თავისი ანაზღაურებით (ისევ ორი სათაური, ანუ ერთდროულად ორ საჯარო სამსახურში თანამდებობები კანონის არაფრად ჩაგდებით). იგი ისევ რჩება ასოციაციაში და „რუსთავი-2“-ში სახელფასო განაკვეთებით.

ნადირაშვილის იერარქიული წინსვლა ამით არ შეჩერებულა. მომდევნო წელს იგი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილედ ინიშნება. ინარჩუნებს პოსტს ინფრასტრუქტურის სამინისტროში, თვითმმართველობათა ეროვნულ სააგენტოში, ვერ ელევა „რუსთავი-2“-ის პროდიუსერობას და ნაციონალების სატელიტ არასამთავრობოში („ნალი“) დაიდო ბუდე.

2011 წელი იერარქიულ საფეხურზე ახალი წინსვლით აღინიშნებოდა. ყველა საქმეში ჩახედულმა ირმამ ყველა თანამდებობა შეინარჩუნა (რა თქმა უნდა, „რუსთავი-2“-შიც) იმ განსხვავებით, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მისი ხელფასი გაორმაგდა და 54 ათას ლარს (წლიურს) მიაღწია.

2012 წელი, ისე, რომ არც ერთი წინა წლის მონაგარზე უარი არ უთქვამს, ყოვლისშემძლე ქ-ნი პოლიტიკასაც წაეპოტინა და ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი სახეც გახდა. შედეგად „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ დამარცხებული პოლიტიკური გუნდის მხრიდან წარდგენილი საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა 2012 წლის არჩევნების შემდეგ, — ნათქვამია არასამთავრობოების მოკვლეულ მასალებში, სადაც ისიცაა ნათქვამი, რომ ნადირაშვილის სახელფასო შემოსავლები დაფარულია, მაგრამ ცნობილია, რომ აქვს ბინები თბილისსა და ბათუმში, საგარაკე ნაკვეთები მასზე აშენებული სახლით.

2013 წელს, როდესაც უკვე მკაცრად კონტროლირდებოდა საჯარო მოხელეთა შემოსავლები, ნადირაშვილის ხელფასი მკვეთრად, წელიწადში 60518 ლარამდე შემცირდა, მაგრამ ეს დიდად არ დაეტყობოდა მისი ოჯახის ბიუჯეტს, რადგანაც მისმა მწყალობელმა სააკაშვილმა, რომელიც ჯერ კიდევ პრეზიდენტი იყო, ირმას მეუღლე დიდუბე-ჩუღურეთის გამგებლად დანიშნა. მისი წლიური ხელფასი 84 ათასს ლარს შეადგენდა.

როგორც არასამთავრობოების კვლევის შედეგად ირკვევა, „პროდიუსერი ირმა“ საკუთარი დასაქმების გარდა, მეუღლის კარიერულ წინსვლასა და ოჯახური ბიუჯეტის გადიდებაზეც ზრუნავდა. ნადირაშვილის ქმარი ცოლის აღზევების პარალელურად ინიშნება ეროვნულ ბანკში საკმაოდ მაღალანაზღაურებად თანამდებობაზე. 2009 წლის ოჯახის დიასახლისის წინსვლა მის პირველ ნახევარსაც შეეხო. იგი ბანკიდან გადაჰყავთ სატრანსპორტო ადმინისტრაციის უსაფრთხოების უფროსად. გადეპუტატებული ჟურნალისტის ჯერ ნაციონალურ ელიტაში და შემდგომ პარლამენტში მოხვედრას, უკვლოდ არ ჩაუვლია მეუღლის იერარქიულ წინსვლაში. იგი მიმავალმა პრეზიდენტმა 2013 წელს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებლის თავმჯდომარის თანამდებობით დაასაჩუქრა. არასამთავრობოებმა ისიც გაარკვიეს, რომ ირმამ ქმარს „თბილისის განვითარების ფონდშიც“ გაუჩალიჩა გამგეობის წევრობა. იგი „ფონდში“ 7 წელი მუშაობდა, რა დროსაც არამიზნობრივად გაიხარჯა 300 მლნ საბიუჯეტო თანხები და შემოწირულობები, ხოლო თანამშრომელთა (გამგეობის წევრთა) ხელფასები 4 500 ლარს ქვემოთ არ ჩამოდიოდა.

აღზევების პერიოდში წინდახედულმა ქალბატონმა ახლო ნათესავებზეც იზრუნა. ერთი და „სოციალური მომსახურების სააგენტოში“, მეორე კი „სურსათის ეროვნულ სააგენტოში“ დაასაქმა. სიძესაც გამოუძებნა სამუშაო და იგი „სამოქალაქო განვითარების სააგენტოში“ გაამწესეს. ეს ხდებოდა 2007 წელს. მომდევნო წელს ნადირაშვილის დის ქმარი რუსთავის მუნიციპალიტეტში გადაიყვანეს საკმაოდ მაღალ და კარგად ანაზღაურებად თანამდებობაზე. სიძის წინსვლა 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეჩერდა.

საბოლოო ჯამში, ასკვნიან ანალიტიკოსები, „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტობა კარგად გამოიყენა ნადირაშვილმა, ჯერ სააკაშვილთან დასაახლოებლად, მისი მეშვეობით კარიერაც მოიწყო, ბიუჯეტიც არნახულად შეავსო, მეუღლეც და უახლოესი ნათესავებიც შემოსავლიან სამსახურებში დაასაქმა. ამის შემდეგ უცებ ყველაფერი ხელიდან გამოეცალა. იყვირებს, შეაგინებს ახალ ხელისუფლებას და „ოცნებას“, აბა რა იქნება, ირონიულად აღნიშნავენ ექსპერტები და სპეციალისტები. მათ ნადირაშვილის მაგალითი, „რუსთავი-2“-ის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა იმის ნათელ მაგალითად მოჰყავთ, რომ ეს ტელეკომპანია დამოუკიდებელი კი არა, ნაცების ერთ-ერთი იდეოლოგიური ორგანოა.

**ზაზა ბილიხოძე**

ვერნისაჟი

ერთ დროს კასპის ქარხანა „კასპიელექტროაპარატი“ საკავშირო მნიშვნელობის გახლდათ და ელექტროდანადგარებით არა მარტო საბჭოეთის ყველა რესპუბლიკას, არამედ მსოფლიოს რამდენიმე ათეულ ქვეყანას ამარაგებდა. ასობით დასაქმებული ადამიანი — პროფესიონალი ელექტროინჟინრები, სახელმწიფოს მიერ დაფასებულნი და საქვეყნოდ ცნობილნი, მაგრამ ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როგორც ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების უამრავი საწარმო, ჩვენიც დაიხურა, და მხოლოდ ხალხის მოგონებებში დარჩა. კასპის ქარხნის თავკაცმა, დამსახურებულმა ინჟინერმა და გამომგონებელ-რაციონალიზატორმა, ბატონმა **უშანგი მოსიაშვილმა,** რომ იტყვიან, შეუძლებელი შეძლო, ეს დუხჭირი წლები წვალებით, ავტორიტეტით, შრომისმოყვარეობითა და შეუპოვრობით გამოატარა მშობლიური ქარხანა. ახლა დროებით გაჩერებულ „კასპიელექტროაპარატი“ მისი მფარველობის ქვეშაა და დღე-დღეზე ჩვეული ძალით ამოქმედებას ელის.

* * *

ახლა დროებით სულ სხვა ტალღაზე გადავერთოთ, მკითხველო, და ორიოდ სიტყვაც საქართველოს დამსახურებულ მხატვარ **ალექსანდრე (შურა) ციხელაშვილზეც** ვთქვათ, რომლის შემოქმედებაც ქართველი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობია, მაგრამ არც საქართველოს საზღვრებს გარეთაა უცხო. უნიჭიერეს მხატვარს ჯერ კიდევ საბჭოეთის დროს ხვდა ბედნიერება იმისა, რომ უამრავ შემოქმედს შორის გამოერჩიათ მისი სტილი, პროფესიონალიზმი და ბატონი ალექსანდრესთვის მოსკოვის ოლიმპიადის გაფორმება მიენდოთ. მსოფლიოში ყველასთვის დასამახსოვრებელი მოღიმარი დათუნია — ოლიმპიადის თილისმა ხომ ბატონი ალექსანდრეს შექმნილია, მისი მოხატულია ოლიმპიური ქალაქიც. სამწუხაროდ, ეს ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ არც კი იცის. ამის შემდგომ ქართველი ხელოვანის შემოქმედებით ბერძნებიც დაინტერესდნენ და ანტიკური ხელოვნების მსოფლიო ფუძემდებლებმა დიდი ალექსანდრე მაკედონელის დაარსებული ქალაქი სალონიკის პორტის მოხატვა და ორი უზარმაზარი პანოს შექმნაც ჩვენს თანამამამულეს ანდეს. ევროპის ერთ-ერთ უდიდეს და ულამაზეს ნავსადგურს, რომელსაც მილიონობით ადამიანი სტუმრობს, ალექსანდრე ციხელაშვილის პანოები ამშვენებს.

ამაყად შედის ალექსანდრე მაკედონელი ქალაქში მხლებლებსა და ჯარისკაცებთან ერთად და ქალაქს თავისი დის სალომეას საპატივცემულოდ სალონიკს არქმევს. ათობით ფიგურა, განსხვავებული ხასიათისა და ფორმისანი, ბერძნულ ტუნიკებში გამოწყობილნი სიამაყით გადაჰყურებენ მომავალი ქალაქის ქონგურებს.

**„ეჰ, შესაძლებლობა რომ მომცა და ამხელა ტილო ჩვენთვისაც დამეხატა?! რა ნაკლები გმირები გვყავდა? გინდაც გორგასალი და ფარნავაზი, აღმაშენებელი, გინდა თამარი და გიორგი ბრწყინვალე, პატარა კახი, თუნდაც გიორგი სააკაძე... ჩვენი მომავალი თაობებისთვის შემომენახა...“** — ეს სიტყვები შურა ციხელაშვილმა ოთხმოცდაათიან წლებში მითხრა, მაშინ, როდესაც უზარმაზარი ტილოებისა და პანოების ხატვაზე ფიქრი, მართლაც ოცნება იყო, მაშინ როდესაც უშუქობითა და უგზოობით, უმუშევრობით შეწუხებული, სამოქალაქო ომგადატანილი ქართველები ხელოვნებაზე მეტად ლუკმაპურზე ფიქრობდნენ და ოჯახის სარჩენად უცხოეთს აშურებდნენ ყველაზე უფრო სათაკილო შრომის შესასრულებლად და თითო გროშის საშოვნელად. ბატონი შურა თავის პატარა, სახელოსნოდქცეულ საცხოვრებელ სახლში სანთლის შუქზე, ხშირად სიცივეში გათოშილი ხელით ხატავდა ესკიზებს. ქმნიდა მეფეთა პორტრეტებს, აცოცხლებდა საქართველოს ისტორიას. მაგრამ მაშინ არც თანხა იყო ტილოს, საღებავებისა და ათასი მასალის შესაძენად, საკუთარი ოცნების განსახორციელებლად.

* * *



ალექსანდრე ციხელაშვილი მომავალი მუზეუმის დარბაზში

# საქართველოს ჰეროიკული მატიანე,

## ანუ დამსახურებულმა ინჟინერმა დამსახურებულ მხატვარს ოცნება აუსრულა

ახლა მკითხველო ის აბრაკადაბრა მინდა გაგიშიფროთ ამ წერილის კითხვისას რომ დაგებადა — სად კასპის ცნობილი ქარხანა, დამსახურებული ინჟინერი უშანგი მოსიაშვილი და სად დამსახურებული მხატვარი ალექსანდრე ციხელაშვილის ოცნებაო? ასეთი რამ ხშირად ზღაპრებში ხდება და ზოგჯერ დაუჯერებელიცაა. კასპში მეპატიჟება ბატონი შურა, თან ტელეფონში მიხსნის, — ყოფილი „კასპიელექტროაპარატის“ ქარხანა იკითხე, ყველა კასპელი მიგასწავლის და იქ მომძებნიო. ორი თვის უნახავ უფროს მეგობარს დათქმულ ადგილზე ვაკითხავ, თან ცნობილი ფოტოხელოვანი **გივი ჯოლბორდი** მახლავს. ქარხნის ტერიტორიის სიღრმეში, მიტოვებული სპორტული დარბაზის შესასვლელში დგას ბატონი ალექსადრე და ჩვეული ღიმილით გვეგებება, ახალგაზრდულად, მოხდენილად, პატარა ბიჭივით, არადა ოთხმოცდახუთისა ხდება. და ყველაზე დიდი საოცრება წინ მელის...



შოთა რუსთაველი

დარბაზის კედლები დაფარულია უზარმაზარი ტილოებით, სწორედ იმ ზომისა, როგორიც სალონიკში შექმნა — **„მირიან მეფე თხოთის მთაზე. მზის დაბნელება“, „ფარნავაზი გამოქვაბულში განძს პოულობს“, „ძლევაი საკვირველი“, „მოქცევაი ქართლისაი“, „ლეგენდა თბილისის დაარსებისა“.** თვალებს არ ვუჯერებ: ორმოცამდე უზარმაზარი ტილო. თავად ვურჩევ სახელებს — ეს ხომ თამარ მეფის დარბაზია, რუქნადინის ელჩს ერთი გარტყმით რომ დასცემს მხარგრძელი, ეს კი ცოტნე დადიანია, თანაშეთქმულებთან ერთად რომ ჩამუხლულა, ერეკლე მეფე და ინგილო ქალი, იაზონი იმორჩილებს ცეცხლისმფრქვეველ ხარებს... ეს ბაზალეთის ბრძოლაა, თეიმურაზ მეფისა და გიორგი სააკაძის შერკინება.

— ეს არ გვინდოდა დაგვეხატა, ეს საქართველოს სირცხვილი და ტრაგედიაა, როგორც ილიას მკვლელობა. მაგრამ რას იზამ, ჩვენი ისტორიაა და... — გვერდით ჭარმაგი მამაკაცი მიდგას, იღიმება, ხელს მიწვდის. ისე ვარ გაოცებული, გახარებული, საქართველოს წარსულში გადავარდნილი, რომ ვერც ვამჩნევ, როდის მოგვიახლოვდა.

— გაიცანი, ბატონი უშანგი მოსიაშვილი, — იღიმის მხატვარი — ამ კაცმა ამისრულა ოცნება, სახელოსნოდ ეს დარბაზი დამითმო, საღებავები, ტილო... მარტო ინჟინერი კი არა, პოეტიცაა, მხატვარიც, საქართველოს ისტორიაზე თავგადადებული კაცი, როგორც ყველა კასპელი — გიორგი სააკაძის, თევდორე მღვდლის, პაატას თაყვანისმცემელი.

* * *

აი, ეს აბრაკადაბრაც აგიხსენით ჩემო მკითხველო. სულ მალე ეს დარბაზი, როგორც ბატონი უშანგის გეგმებშია, მუზეუმად გადაიქცევა და კასპელების კულტურის ერთ-ერთი ცენტრი გახდება. სპორტული დარბაზისთვის ადგილიც მოუნიშნია, კასპელებს ისე ხომ არ დავტოვებო — ამბობს. სულ მალე ალბომის გამოცემასაც აპირებს, სადაც ორმოცამდე ნამუშევარს შესაბამისი ისტორიაც დაერთვება თან.

— ეს პირველი ნაწილია, მეფე ერეკლემდე მივედით მე და შურა, მეთვრამეტე, მეცხრამეტე, მეოცე საუკუნეც ხომ უნდა „შევქმნათ“ და მოვხატოთ. მერე ერთი კაი პურიც ვჭამოთ და ეს მუზეუმიც კასპელებს ვაჩუქოთ. — ალალად გვეუბნება გულქართლი კაცი. სახელიც შეურჩევია ალბომისთვის „საქართველოს ჰეროიკული მატიანე“.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ბატონო უშანგი, ბატონო ალექსანდრე. ეს მართლაც საშვილიშვილო საქმე გააკეთეთ. აქვე გთავაზობთ ბატონი შურას რამდენიმე ნამუშევრის ფოტორეპროდუქციას, რომელიც გივი ჯოლბორდმა შეასრულა და დიდმა ხელოვანმა ნება მოგვცა, მისი ძველი „მეგობარი გაზეთის“ ფურცლებზე ანონსად დაგვებეჭდა.

**მამუკა ვაშაკიძე.**
**კასპი-თბილისი.**



მარტყოფის ბრძოლა



ლეგენდა თბილისის დაარსებისა

◉ სერიიდან „წმინდა მიწა“

# 8. ...უფალი ერთია და მას სიყვარული ჰქვია!



„ოპტიკა ზურაბი“

...ახლა კი, პატიებას ვთხოვ უფალს და სანამ „ვია-დოლოროსას“ ავუყვებოდეთ, ოდნავ შევცვლი მარშრუტს!

... მართალი გითხრათ, ფეისბუქის დიდი მომხმარებელი არ გახლავართ, მაგრამ წუხელ მაინც მივუჯექი ჩემს სამგზავრო კომპიუტერს და საოცარი რამ ვნახე. შესანიშნავ ფერთა პალიტრით შესრულებულ მასშტაბურ ტილოს წავაწყდი, – „ვია-დოლოროსა“, „მწუხარების გზა“!

საოცარია!... დიახ, დიახ!... კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო, საოცარია! ნახატზე 100-მდე ისტორიული პიროვნებაა გამოსახული. ცენტრში გამოკვეთილად არის წარმოჩინებული დაჩოქილი მაცხოვარი, მხარზე უზარმაზარი ჯვარი აქვს გადებული. გვერდით კი, თანამედროვე კოსტიუმში გამოწყობილი ყმაწვილი უდგას, რომელსაც მარჯვენა ხელი მაღლა აქვს აწეული, თითქოს, აჩუმებსო ბრბოს! მარცხენა ხელი კი, მაცხოვრის მხრებზე უდევს. გარეშემონი მათთვის დამახასიათებელი ჟესტიკულაციითა და ემოციებით დგანან... ვინ, თუ იცით?... თუ ამ ნახატს არ ნახავთ, ვერ წარმოიდგენთ!... – ლენინი, სტალინი, ნაპოლეონი, ჰიტლერი, ნერონი, ლევ ტოლსტოი, მარკ ტვენი, დარვინი, ნიუტონი და ა.შ. კადრს თუ გაადიდებთ და კარგად დააკვირდებით, ბევრ სხვასაც ამოიცნობთ მათ შორის. ყველა, მათ ვისაც ავი თუ კარგი კვალი დაუტოვებია ქრისტიანობის ისტორიაში. ქრისტეს გვერდით მდგარი ყმაწვილი კი, თითქოსდა, უბრაზდება მათ: – „გაჩუმდით!... აღიარეთ ის, რაც მე ვიცი!... მე კი ვიცი, რომ იესო ღმერთის შვილია და მუხლი მოიყარეთ მის წინაშე!“.

გაჩერებულა წუთი და ამ ერთ წუთში, მთელი ქვეყნიერების სათქმელია თქმული!... ეს საოცრება შეუქმნია ხელოვანს, რომლის სახელი და გვარია ჯონ მაკნაუტონი!... „ფეისბუქზე“ მის შესახებ ბევრს ვერაფერს შეიტყობთ, მაგრამ წყაროებში „ხეტიალის“ შემდეგ ორიოდე ცნობას მაინც მიაკვლევთ:

ჯონი აშშ-ის იუტას შტატიდანაა. შტატი, რომელსაც თავისი უცნაურობები ახასიათებდა ოდითგან და დღეს მორმონთა „ფილოსოფია“ ჭარბობს! გაგიგონიათ, ალბათ, ეს ტერმინი, მით უმეტეს, რომ, მათ, თურმე, უკვე „დაიბუდეს“ საქართველოშიც და ერთ-ერთი სასტუმროს მეპატრონეებიც არიანო, მაგრამ ამჯერად ჩვენი საუბრის თემა ეს არ არის... ჩვენი გაოცების თემაა საოცარ ფერთა პალიტრა, რომელმაც მასწავლა: – „ადამიანებს არ უნდა ეშინოდეთ სიმართლის თქმისა!“. ამიტომ, არ შემიძლია, მადლობა არ მოვახსენო ამ ფეისბუქის ავტორს, რომელმაც დამაინტერესა ამ შემოქმედით!

...მაგრამ წმინდა მიწამ კიდევ უფრო მეტი მადლობა დამიგროვა სათქმელი!

...წინა ნარკვევებიდან გახსოვთ, ალბათ, ზოგიერთი ეპიზოდი:

– „...თაბორის მთიდან დავეშვით. ბილიკის ბოლოს კიდევ ერთი „მისტერი“ დგას.. ყოველშემთხვევისათვის, მასაც ვეკითხები:

– ნაზარეთამდე ათი კილომეტრი ყოფილა... არა?

– შვიდი კილომეტრია, ბატონო ჩემო! – მპასუხობს ქართულად და მე მისი უფრო მჯერა.

ავტობუსის მძღოლსაც გავესაუბრე ღიმილით:

– რა ხდება, კაცო?... ერთი ათ კილომეტრს მეუბნება, მეორე კი – შვიდს?! – ავტობუსის მძღოლი იღიმება და მპასუხობს:

– მიხვდებოდით, ალბათ... ერთი არაბი იყო, მეორე კი, ისრაელი!... ქართულიც ამიტომ იცოდა იმ ისრაელმა!... მათი სოფლებიდან სხვადასხვა ბილიკი მიდის ნაზარეთამდე!... ის ისრაელი, ქართულ ფუძეზეა აღზრდილი... საქართველოდან!... გაიხარა, ქართველები რომ გნახათ!

– პასუხი კი მითხრა, მაგრამ სალაპარაკოდ არ გამიჩერდა... გამიკვირდა!

– თქვენ ვერ შეამჩნიეთ, ალბათ, თორემ, თვალები ცრემლებით ავსებოდა და... შერცხვა ცრემლების!“...

ჰოდა, გზაზე დამდგარმა კაცმა უკვე წასულს ვერ მივაწიე მზერა და ბოდიში ვერ მოვუხადე არასაკმარისი ყურადღებისათვის!

...და ახლა ვუხდი მოკრძალებულ ბოდიშს: – მაპატიე, ჩემო ძმაო, მაგრამ უფალმა შეგვახვედროს კიდევ ერთხელ და მაშინ ჩავეხუტოთ ერთმანეთს!... ბოდიში და მადლობა ჩემო სისხლო და ხორცო, ებრაელო ძმაო!

„...ავტობუსის სავარძელში მოკალათებული გნეუს პომპეუსს „ვაკრიტიკებდი“ გონებაში:

– ...ეჰ, გნეუს!... სანამ ისრაელში ჩამოხვიდოდი, საქართველოშიც მოგიხდა „გასეირნება“, მაგრამ...“

... ვიხსენებ „ძველ“ ეპიზოდს და... ავტობუსი მორიგ ნიშნულთან გაჩერდა. ორი თუ სამი ადამიანი ამოვიდა. ერთ-ერთი ჩემს გვერდით დაჯდა და... ქართულად მოგვესალმა!!... წამოვხტი გაოცებისგან.

– ...თქვენ ქართველი ბრძანდებით?....

– ...ვაიმე!... ქართველი?!... შენი ჭირიმე ქართველო!... მე აქაც ქართულად ვესალმები ყველას!... მიხარია და, ვესალმები!... ეს რა ბედი გამინათდა ამ დილით!?... ქართველს შევხვდი!....

...მთელი ავტობუსი გაოცებული შეჰყურებდა ამ კაცს, მაგრამ ვერ ხვდებოდა მის „გასაჭირს“!

გადამეხვია და თან, ცრემლიანი თვალებით მათვალიერებდა. ემოციებისგან ვერც მე ვიღებდი ხმას. მხოლოდ მძღოლი იღიმებოდა, ეტყობა იცნობდა!...

– აკი!... შენს გაჩერებაზე ჩამოხვალ?...

– ჰო, კი, მარა....

ავტობუსი ნახევარი საათის შემდეგ კიდევ ერთხელ გაჩერდა, რომელიღაც დასახლებასთან და აკი ჩასასვლელად მოემზადა.

– ნახვამდის, ჩემო კარგო!... კეთილად გევლოთ ამ დუნიაზე!... თელ-ავივში ოპტიკის პატარა მაღაზია და სალონი აქვს ჩემს მეგობარს – „ოპტიკა ზურაბი“!... გაგვახარეთ და შემოგვიარეთ, ვისაუბროთ ქართულად!... მიხარია ქართველებს რომ გხედავთ!


იაფეტის ქალაქი – იაფა

– მგონი, მეც ვიცნობ „ოპტიკა ზურაბს“!... – ვახარე ჯერკიდევ ავტობუსის საფეხურზე მდგარს, – შემთხვევით გავიცანი ამას წინათ!... ალბათ მასზე ამბობთ!...

– ის არის, ის!... სხვას არავის აქვს ისრაელში „ოპტიკა ზურაბი“!... გამიხარდა!...მიხარია, დიდად მიხარია!... ღმერთმა გაგახაროთ!...

...კიდევ ერთხელ შემოგვეგება ჯვართან ქართული სიტყვა!

ორიოდე დღეში პარასკევი და შაბათი იყო და უძველეს ქალაქ იაფას ვეწვიეთ, ლეგენდარული ნოეს შვილის იაფეტის ქალაქს! უკან რომ ვბრუნდებოდით, „ოპტიკა ზურაბსაც“ მივადექით, მაგრამ... გვაპატიოს უფალმა, არც დავფიქრებულვართ, პარასკევი და შაბათი ებრაელთა წმინდა დღეები რომ იყო და... დაკეტილი დაგვხვდა. შემდგომ დღეებში კი, მარშრუტები გვქონდა დაძაბული და ვერ გავუარეთ!

მაპატიეთ ჩემო მეგობრებო, რომ ვერ დავჯექით და დიდხანს რომ ვერ ვისაუბრეთ ქართულად. იქნებ ინებონ თქვენმა და ჩემმა ღმერთებმა და კვლავ შეგვახვედრონ ერთმანეთს! მადლობა თქვენი მოსიყვარულე გულისათვის, რომ ასე გიყვართ და აფასებთ ქართველებსა და საქართველოს!

...იცით, ალბათ, ჩვენებური კაცისთვის მიუჩვეველი პაპანაქება ხურს ისრაელში. ასე იყო „ჩვენს ქალაქშიც“, რომელსაც რეჰოვოტი ჰქვია. ყველას ყოველთვის ბოთლით წყალი დააქვს და გაუსაძლის სიცხეში ამით ისველებენ პირს. ჩვენც ასე ვაკეთებდით!

მაღაზიაში შევედით, რომ ორიოდე ბოთლი წყალი შეგვეძინა. გამყიდველი ქალბატონი მიგვიხვდა, რომ „სხვები“ ვიყავით და მორიდებით გვკითხა რუსულად:

– მაპატიეთ!... სადაურები ბრძანდებით?

– ქართველები ვართ, ჯორჯიიდან!... კავკასიის ჯორჯიიდან!... – დავაზუსტეთ, რომ ამერიკიის ჯორჯიაში არ შეშლოდა.

ქალბატონი ოდნავ შეყოვნდა და თვალები სიხარულის ცრემლებით აევსო.

– ო, ო!... მე ვიცი საქართველო... ლამაზი და კარგი საქართველო!... მაპატიეთ, მაგრამ თქვენთვის უფასოა წყალი!... მე გადამრია საქართველომ!

– როგორ?... თქვენ იცით საქართველო?

– ვიცი, როგორ არ ვიცი?... ჩვენი ოჯახი გროზნოში ვიყავით ერთხელ...თბილისამდე ჩავფრინდით და იქიდან გადავედით კავკასიონზე. მაშინ ვნახე, პირველად საქართველო!... იმდენი სიკეთე და სითბო შევიგრძენი ქართველებისგან ამ გზაზე, რომ არასოდეს დამავიწყდება!... ბედნიერი ვარ, რომ კვლავ შევხვდი ქართველებს!... ღმერთმა წყალი და მადლი ნუ მოგაკლოთ ნურასოდეს!... მიხარია!... ძალიან გამახარეთ თქვენი სტუმრობით!

მადლობა თქვენ, ქალბატონო, ამ სიხარულიანი თვალებისა და სიყვარულისთვის! იცოდეთ, მთელი სიცოცხლე გვემახსოვრება თქვენგან მორთმეული წყლის გემო და თქვენი კეთილი გული!

...დიდად მადლცხებული კალმოსანი უნდა იყო, რომ აღწერო ის არე , რომელიც იერუსალიმის უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის „კამპუსს“ უკავია ქალაქ რეჰოვოტში.

ალბათ, ასეთია სამოთხე!

ისრაელში ექვსთვიანი სამეცნიერო მივლინების პირველივე დღეებიდან ფაკულტეტის ყოველმა თანამშრომელმა იცოდა, რომ მათთან საქართველოდან მოვლინებულია ახალგაზრდა ქართველი პროფესორი და იმავე დღიდან, როგორც იტყვიან, ხელის გულზე უნდა ეტარებინათ იგი. და ამ ექვსთვიანმა მივლინებამ ისე ჩაიარა, რომ თბილისური სამსახური და რეჰოვოტის აკანი განუყოფელი გამხდარა ჩემი ქალიშვილისათვის დღეს!

ამ ფაკულტეტს ხელმძღვანელობს საქვეყნოდ ცნობილი პროფესორი, პატივცემული ალექსანდრე (საშა) ვაინშტაინი!

...დღეები დღეებს მისდევდა და, მართალია, ჩემი ქალიშვილი კიდევ ორი თვე უნდა დარჩენილიყო ისრაელში, მაგრამ ისე შემოგველია დღეები, რომ სამშობლოში დაბრუნების დროც დადგა. და ეს დღეც ებრაელთა წმინდა დღეს, პარასკევს დაემთხვა.

აეროპორტში ვართ და „მობილური“ რეკავს.

– ია, მე საშა ვარ!... ვიცი, დაკავებული ხართ, მაგრამ დღეს მაინც, იქნებ მოახერხოთ და... ძალიან მინდა ამ საღამოს, შენი მშობლები ჩემი ოჯახის სტუმრები იყვნენ!!...

– ბატონო საშა, დიდი მადლობა, მაგრამ...

– არავითარი „მაგრამ“... ისე მოხდა, რომ ეს დღეები ამერიკელი კოლეგები მყავდა სტუმრად და ვერ მოვახერხე შენს მშობლებთან შეხვედრა...

– ბატონო პროფესორო, ჩვენ უკვე აეროპორტში ვართ!... ჩემი მშობლები დღეს მიფრინავენ თბილისში!...

...არ მოგიყვებით, თუ როგორ შეწუხდა პროფესორი და როგორ „შეიცხადა“! ...და ამ წუხილიდან ქართველი ერისადმი სიყვარული და ულრმესი მოწიწება გადმოედინებოდა.

...ებრაელთათვის წმინდა დღეს პროფესორის ოჯახში მაინც გაიშალა სუფრა, – სტუმარი ქართველი პროფესორი გახლდათ და ოჯახის ყოველი წევრი საქართველოს ეფერებოდა! ...ულრმესი მადლობა პატივცემულო პროფესორო, მადლობა ჩემო ისრაელო იმ გულითადობისთვის, რომელიც დაგვახვედრა უფალმა წმინდა მიწაზე!

უფალი კი, ერთია ქი-ან-ა-ზე და მას სიყვარული ჰქვია!

...წინა დღეს კიდევ ერთ ოჯახში ვიყავით მიწვეული.

გახსოვთ, ალბათ, დანიელ შალელაშვილი!... ქართული პოეზიის საღამო რომ მოვაწყვეთ რეჰოვოტში, ისრაელში ჩვენი ჩასვლის მეორე დღეს! ჩვენი დატვირთული გრაფიკის გამო, ვერა და ვერ „მოგვიხელთა“ დანიელმა და ბოლოს კიდევ ერთხელ სცადა:

– ე, ბიჭო... სულიკოს მაინც არ ნახავთ?...გამონახეთ დრო... გეხვეწებით!... გეხვეწები, გესმის შენ?... შენ და საქართველო ძვირფასი მოგონებაა ჩვენთვის!...

– ...ვერ გამოვიდა, ჩემო დანიელ! ვიცი, შენ და შენს ოჯახსაც გულით გსურდათ შენს ჭერქვეშ გვებაასა კიდევ ერთხელ, მაგრამ... ბოდიში უნდა მოგიხადოთ შენ და შენს ძვირფას ოჯახს, ჩემს დაიკო სულიკოს და ულრმესი მადლობა გითხრათ თქვენი კეთილი გულისათვის!...

ბოლომდე ვერც მოვასწარი მეთქვა დანიელისთვის სათქმელი.

– გელოდებით!... – მოკლედ „მომიჭრა“ და ყურმილი დადო! ალბათ, იმ იმედით, რომ ასე მაინც „ჩამაგდებდა ნამუსში“, მაგრამ...

...ისრაელი დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავდა! საღამო ხანი იყო იერუსალიმიდან რომ დავბრუნდით. დავბრუნდით, მაგრამ რეჰოვოტის ცენტრალური ქუჩა მკაცრად გადაკეტილი დაგვხვდა. წესრიგის დამცველთა მთელი არმია იცავდა ქუჩის შესასვლელ-გამოსასვლელებს. არადა, ამ ქუჩას მოკლეზე მივყავდით ჩვენს ბინამდე და თუ არა, 5-6 კილომეტრით დაგვიგრძელდებოდა სავალი. მივუახლოვდით ქუჩას და სამართალდამცავებს ვთხოვეთ, გავეტარებინეთ.

– არ შეიძლება, მისტერ!... ქალაქის მთავრობამ უნდა გაიაროს ქალაქის ცენტრში!... ზეიმი უნდა დაიწყოს!... – მოკლე და კონკრეტული იყო გამართული ინგლისურით წარმოთქმული პასუხი.

– ...რას ვიზამთ!... წავიდეთ, მოვუაროთ!... – ჩამილაპარაკა მეუღლემ.

...ეტყობა, გაიგო „უცხო“ სიტყვა პოლიციელმა.

– გვაპატიეთ!... თქვენ საიდან ბრძანდებით?

მოვახსენეთ: – კავკასიის ჯორჯიიდან, მისტერ!

პოლიციელს რაღაც „დაემართა“!... მოლბა, ღიმილმა გაუბრწყინა თვალები და რაღაც გადასძახა თეჯირს მიღმა მდგარ კოლეგას.

სამართალდამცველებმა რკინის ხარიხა მყისვე გააღეს.

– გთხოვთ, მისტერ!... ქართველებისთვის ისრაელის ყველა კარი ღია უნდა იყოს!...

არ მოველოდით!... და აღელვებულებმა მადლობაც ძლივს ჩავილუღლუღეთ!

...ჩვენ ცენტრალურ ქუჩას გავუყევით და გვეამაყებოდა, რომ ქართველები ვიყავით!... გვეამაყებოდა, რომ დანიელის ქვეყანაში ვიყავით, პროფესორ ვაინშტაინის ქვეყანაში ვიყავით!... რომ ზურაბის ქვეყანაში ვიყავით და ყველა დანარჩენი ებრაელის ქვეყანაში ვიყავით, რომელთაც ასე უყვარდათ საქართველო და ღმერთი!

...ზღვაში წვეთია რაც მოგიყევით!... ო, ღმერთო ჩემო!.. რამდენი იყო ასეთი სითბო ისრაელის მიწაზე!...

ერთ საგაზეთო მასალაში ყოველ მათგანზე მოყოლა ძალიან შორს წაგვიყვანდა!... მთავარი კი, ის იყო, რომ, – იყო უდიდესი სათნოება და სიყვარული!...

...და წმინდა მიწიდან დაბრუნებულმა, ამ სიყვარულით მინდა, მივულოცო ისრაელსა და საქართველოს 2600-წლიანი ძმობა!

**ზაურ ფიფია.**

**(გაგრძელება იქნება).**


რეჰოვოტი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# გენერალმა ბრიდლავმა და ირაკლი ალასანიამ რუსეთის აგრესიული პოლიტიკა განიხილეს

### საქართველოს თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ ნატოსთან თანამშრომლობის გაღრმავება მხოლოდ რეგიონში უშიშროების გაძლიერებას ისახავს მიზნად

**ნატოს გაერთიანებული ძალების მთავარსარდალმა ევროპაში, ამერიკელმა გენერალმა ფილიპ ბრიდლავმა საქართველოს ხელმძღვანელობასთან განიხილა ზომების პაკეტის იმპლემენტაცია საქართველოს ნატოში წევრობის მისწრაფებისთვის ხელშეწყობის მიზნით.**

საქართველოში მყოფმა ბრიდლავმა გამართა შეხვედრა საქართველოს თავდაცვის მინისტრთან ირაკლი ალასანიასთან, აგრეთვე პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან, შეხვედრაში მონაწილეობას ღებულობდნენ შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელი და სხვა ოფიციალური პირები.

**„პარტნიორობა საქართველოსა და ნატოს შორის მეტად მყარი რჩება“,** — განაცხადა გენერალმა ბრიდლავმა საქართველოს თავდაცვის მინისტრთან შეხვედრის შემდეგ.



მან დაადასტურა, რომ უელსში ნატოს სამიტზე საქართველოსთვის მინიჭებული „ზომების არსებითი პაკეტი“ ხელს შეუწყობს „საქართველოს წინწაწევას ალიანსში შესვლისათვის“. გენერალ ბრიდლავის სიტყვებით, ეს პაკეტი გულისხმობს საქართველოს თავდაცვით შესაძლებლობათა გაძლიერების მისიის ჩამოყალიბებას, დახმარების გაწევას რეფორმების განხორციელებისათვის და საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების სექტორების მოდერნიზაციისათვის. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ „საქართველოს უფრო აქტიური მონაწილეობის გზით ნატოს სამხედრო სწავლებებში“ გაზრდის საქართველოს შეიარაღებული ძალების შეთავსებას ჩრდილოატლანიკური ალიანსის ძალებთან.

როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იუწყება, შეხვედრის დროს გენერალმა ბრიდლავმა და ალასანიამ ასევე განიხილეს „რუსეთის აგრესიული პოლიტიკიდან მომდინარე საფრთხე და ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადადგას საერთაშორისო თანამეგობრობამ რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის“.

გენერალი ბრიდლავი თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე შეეხო უშიშროების გამოწვევებს რუსეთის მოქმედებათა შედეგად, რომელიც „შევიდა სუვერენულ სახელმწიფოში, განახორციელა უკანონო ანექსია მის ნაწილში და გამოიყენა სამხედრო ძალა თავისი ნების თავზე მოსახვევად“.

**„ნატოს კარგად ესმის ეს მუდმივი საფრთხე და ახორციელებს მოქმედებებს, რათა უზრუნველყოს, რომ ნატოს წევრებმა უფრო ადრე მოახდინონ რეაგირება ამგვარ საფრთხეებზე მომავალში“,** — განაცხადა ფილიპ ბრიდლავმა თბილისში.

## საწვრთნელი ცენტრი

**მხარეებმა ასევე კომენტარები გაუკეთეს საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის გახსნის შესაძლებლობას. ალასანიას თანახმად, მისმა მოადგილემ ამ კვირაში ნატოს შტაბ-ბინაში წარადგინა არსებული პაკეტის განხორციელების გეგმა, მათ შორის ნატოს ერთობლივი საწვრთნელი ცენტრის შექმნის შესახებ და რომ საბოლოო გეგმის დამტკიცებას ელოდებიან ნატოს თავდაცვის მინისტრების სხდომაზე 2015 წლის თებერვალში.**

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ ცენტრი გათვალისწინებულია ერთობლივი წვრთნებისათვის ნატოს წევრ ქვეყნებთან, ალიანსის პარტნიორ ქვეყნებთან და საქართველოს ჯარებთან ერთად.

**„საქართველოში ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნა, ერთობლივი სწავლება, ჩვენი გეგმები ნატოსთან მიერთების შესახებ მიზნად ისახავს მხოლოდ უშიშროების გაძლიერებას რეგიონში, და ისინი არავის წინააღმდეგ არაა მიმართული“,** — განაცხადა ალასანიამ.

თავის მხრივ, გენერალმა ბრიდლავმა განაცხადა, რომ საწვრთნელი ცენტრის საკითხი განხილული იქნა „სამუშაო დონეზე“.

**„საუბარმა (მინისტრ ალასანიასთან) მომცა შესაძლებლობა, გავიგო, თუ რა ეტაპზე იმყოფება საქართველო ამ პროცესში, როგორ შეგვიძლია უკეთესად ავამოქმედოთ საწვრთენლი ცენტრის საოპერაციო ნაწილი მომავალში“,** — განაცხადა ევროპაში ნატოს გაერთიანებული ძალების მთავარსარდალმა.

შეგახსენებთ, 8 ოქტომბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ინფრასტრუქტურის შესაძლო განთავსება ემსახურება „ნატოს ინტერესებს“, საფრთხეს უქმნის ჩამოყალიბებულ სტაბილურობას სამხრეთ კავკასიაში. მაგრამ ამის პასუხად, ალასანიამ 9 ოქტომბერს განაცხადა, რომ ამ ცენტრის შექმნის მიზანი — ესაა თავდაცვისუნარიანობის ამაღლება, როგორც ფაქტორი „იმ აგრესიის შეკავებისა, რომელიც რუსეთიდან მოდის“.

## „ფორმატის შეცვლის მცდელობები“

**თბილისის გაღიზიანება კრემლის მოქმედებებთან დაკავშირებით გამწვავდა გასულ კვირას, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა რუსეთის მიერ დამუშავებული აფხაზეთთან მოკავშირეობის შესახებ ახალი ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა თავის განცხადებაში შეაფასა, როგორც „ოკუპირებული აფხაზეთის ანექსიის მცდელობა“. თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ „საქართველოს მხარის მსჯელობა თითქოსდა აფხაზეთის „ანექსიის“ შესახებ — ესაა არაკეთილსინდისიერი და სახიფათო სპეკულაცია“. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტმა ასევე არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია სოხუმში, პოლიტიკოსების ნაწილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტის გარკვეული პუნქტები უქმნიან საფრთხეს აფხაზეთის დამოუკიდებლობას და ზიანს აყენებენ მის სუვერენიტეტს.**

საქართველოს ოპოზიციის მხრიდან გაისმა მოწოდებანი რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს წარმომადგენელთა შორის პირდაპირი მოლაპარაკების ფორმატის გაუქმების შესახებ, რუსეთის უკანასკნელი მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. მაგრამ საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ თბილისმა აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს მოსკოვთან „კომუნიკაციების არხი“.

ამავე დროს, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რუსეთი ცდილობს, შეცვალოს ჟენევის მოლაპარაკების ფორმატი. **„საქართველოს ინტერესებშია — შეინარჩუნოს ეს ფორმატი“,** — განაცხადა ფანჯიკიძემ 23 ოქტომბერს.

აღსანიშნავია, რომ ოპოზიციური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არაერთგზის აცხადებდა, რომ რუსეთი შეეცდება, გამოიყენოს საქართველოსთან უშუალო მოლაპარაკების ფორმატი რაც ინიციირებულია თბილისის მიერ 2012 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საერთაშორისო მონაწილეობის შესუსტებისათვის საქართველოს ტერიტორიული პრობლემების მოწესრიგებაში.

მაგრამ საქართველოს ხელისუფლება უარყოფდა ამნაირ შესაძლებლობას, ამტკიცებდა, რომ „ახალი, დამოუკიდებელი ურთიერთობების არხი, კომუნიკაციები და დიალოგი რუსეთთან“ ფოკუსირებული იქნება ჰუმანიტარული და ეკონომიკური კავშირების მოწესრიგებისათვის ქვეყნებს შორის, და არ შეეხება საქართველოს ტერიტორიულ პრობლემებს, რომლებიც განიხილება ჟენევის დისკუსიების საერთაშორისო ფორმატის, ფარგლებში.

**შეგახსენებთ, რომ ჟენევის მოლაპარაკება მოწვეული იქნა 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესაბამისად. დისკუსიებში მონაწილეობას ღებულობენ გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს, ამერიკის შეერთებული შტატების, საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის წარმომადგენლები.**

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



### კიევმა გადაწყვიტა დაზოგოს სახსრები დევნილებზე ყირიმიდან: მათ დახმარებას მნიშვნელოვნად შეამცირებენ

უკრაინის მთავრობამ გადაწყვიტა 40-ზე მეტი პროცენტით შეამციროს საფინანსო დახმარება გადმოსახლებისათვის ყირიმიდან, რომელიც გასულ გაზაფხულზე რუსეთის ნაწილი გახდა. ამ დროს უკრაინაში დაიწყეს მუშაობა დროებით გადაადგილებულ იმ პირთა დროის ერთიანი რეესტრის შექმნაზე, რომლებმაც დატოვეს ყირიმი და დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების რაიონები.

### ევროკავშირმა მიიღო ახალი შეთანხმება კლიმატზე: შემცირდება გამონაბოლქვები და რუსეთზე დამოკიდებულება



ევროკავშირის სამიტმა მიიღო ახალი შეთანხმება კლიმატთან დაკავშირებით. როდესაც პროექტს წარმოადგენდა, ევროსაბჭოს მიმავალმა ხელმძღვანელმა ჰერმან ვან რომპეიმ აღნიშნა, რომ ეს საშუალებას მოგვცემს, მნიშვნელოვნად შევამციროთ ევროკავშირის „ენერგეტიკული დამოკიდებულება“.

### ამერიკის შეერთებულ შტატებში შვეულმფრენი და თვითმფრინავი ჰაერში ერთმანეთს შეეჯახნენ: დაიღუპა სამი კაცი

საგანგებო შემთხვევა მოხდა ქალაქ ფრედერიკის აეროპორტის მახლობლად. თვითმფრინავი Cirrus SR22 პრაქტიკულად ვერტიკალურად გაიჩხირა ტყე-პარკის ხეებს შორის, შვეულმფრენი კი ლითონის ნარჩენად იქცა და ჩამოვარდა მახლობლად სამრეწველო ნაგებობებს შორის.

### ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს, აზიის ქვეყნებს რუსეთზე ზემოქმედებისაკენ „უბიძგოს“

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის პირველმა მოადგილემ ევროპისა და აზიის საქმეებთან დაკავშირებით პოლ ჯონსმა იაპონიის პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ვაშინგტონს განზრახული აქვს, მოახდინოს ზემოქმედება აზიის ქვეყნებზე, რათა შეაკავშიროს საერთაშორისო გაერთიანება „რვიანის“ პოზიციის გარშემო იმ სანქციების საკითხებზე, რომლებიც მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ. დიპლომატის სიტყვებით, იაპონია მთლიანად იზიარებს ამ მიზნებს, ჩინეთიც „არაა კმაყოფილი“ რუსეთის მოქმედებებით.



◎ დედაქალაქი

## ჩვენი „არასადარბაზო" ბარათი

**შუა ოქტომბერში, შემოდგომის დარ დღეებს სიცივე, წვიმა და ქარი რომ მოჰყვა, ეს გასაკვირი ნამდვილად არ არის. გასაოცარი კი ისაა, რომ ჩამოცვენილი ფოთლებისა და ძლიერი ქარისგან ჩამოტეხილი ტოტების დედაქალაქის ქუჩებიდან დროულად მოცილებას დასუფთავების სამსახური დიდად არ ჩქარობს.**

გასულ კვირას, მარჯანიშვილისა და ჯავახიშვილის ქუჩების კუთხეში, ალექსანდრე ნეველის ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს, აკაციის ბებერ ხეს უზარმაზარი ტოტი ჩამოტყდა, ბედად გამვლელ ხალხს აცდა, თუმცა კი იქვე მდგარი რამდენიმე მანქანა გვარიანად დაკაწრა. არადა, ბებერი ხეების ფუღურო ტოტების გასხეპა ხომ გამწვანების სამსახურის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა?!

ახლა ქალაქის ცენტრის სხვა უბანში, რუსთაველის მოედანზე, ძეგლის აუზი ნახეთ, ბატონებო: დიდი პოეტის ქანდაკების წინ შადრევნის აუზში ჩამოცვენილი ფოთლები სახელდახელოდ დაგრეხილ მავთულის ყუთში ჩაუყრიათ, გატანა კი არავის უფიქრია.

...კოლეგასთან ერთად, ვიდრე იმ ციდა ადგილას ჩავუარეთ, ბარე სამი ტურისტული პატარ-პატარა ჯგუფი ვნახეთ, ვინც დიდი შოთას ძეგლის ფონზე ფოტოებს იღებდა, წინა პლანზე კი, დედაქალაქის „სადარბაზო ბარათად" სველი, გაყვითლებული ფოთლებით სავსე ხელნაკეთი მავთულის კალათა იდგა...

## დაზარალებული „კამოს ველოსიპედი"



**ვარდების მოედანზე წინ და უკან (თუ პირიქით?) ორსაჭიანი ველოსიპედის წამომართვამ, მანამდე იმ ადგილიდან ასიოდე მეტრის მოშორებით დავით აღმაშენებლის ძეგლის ქალაქის შემოსასვლელში „გადასახლება" რომ უძღოდა წინ, თბილისელთა (და არა მარტო მათი!) აბსოლუტური უმრავლესობის უდიდესი გულისწყრომა გამოიწვია.**

ქვეყნის სახელოვან მოქალაქეთა უამრავი კრიტიკული საჯარო გამოსვლის მიუხედავად, ყველაფერი მაინც ისე გაკეთდა, როგორც თბილისის მაშინდელ თავკაცს, ცხადია, „მთვარის" ნებასავით, სურდა.

მაშინაც და ახლაც ხალხი ერთხმად ერთსა და იგივეს ამბობს: **თუ ამ ველოსიპედით რევოლუციონერ კამოს პატივისცემა სურდათ, რომელიც, როგორც ცნობილია, ვერის აღმართზე იმ დროს თბილისში მოძრავი სამი M-1-დან ერთ-ერთმა გაიტანა, მაშინ ის იმ ადგილას მაინც დაედგათ, თუ არა და ან დავით აღმაშენებელს რას ერჩოდნენ, ან ჩვენო.**

როგორც გნებავთ განსხვავებული აზრი არ უნდა გვქონდეს ამა თუ იმ ძეგლთან დაკავშირებით, მისი დასახიჩრების, დამტვრევისა და შეურაცხყოფის კატეგორიული წინააღმდეგი ვართ. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ, როგორც სურათზე ხედავთ, ბატონებო, ვიღაც ვიგინდარებს „კამოს ველოსიპედი" დაუზარალებიათ და პედალი ჩამოუტეხავთ და, უნდა ვიფიქროთ, ჯართად ჩაუბარებიათ. ამ ვაჟბატონებს მრავლობით რიცხვში იმიტომ ვახსენებ, რომ ძნელი წარმოსადგენია, იმსიმძიმე თუჯის ნატეხს ერთი კაცი მოერეოდეს.

ჰოდა, იბადება სავსებით ბუნებრივი კითხვა: რას უზამენ ახლა ამ სიმახინჯეს — ახალ პედალს „დაუყენებენ" თუ მაინც იკადრებენ და ამ დანგრეულ ველოსიპედს თავიდან მოგვაშორებენ?

## მარჯანიშვილის ქუჩის „ოკუპაცია"

**თბილისის ცენტრალური ნაწილი ავტომანქანებითაა გადაჭედილი, რომლებიც ფეხით მოსიარულეებს კარგა ხანია ტროტუარებსაც გვეცილებიან. ამ**



**ტროტუარებზე კი არათუ ავტომანქანების დასადგომი, ხალის გასავლელი ადგილიც ისე ცოტაა, რომ კაცი კაცს გვერდს გაჭირვებით უქცევს.**

მარჯანიშვილის ქუჩა თბილისის ცენტრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო და ფეხით სასიარულო არტერიაა, რომლითაც ყოველდღიურად უამრავი ხალხი გადაადგილდება. მართალია, მარჯანიშვილის მოედნიდან ვიდრე ჯავახიშვილის ქუჩამდე მონაკვეთში, ავტომანქანების ტროტუარებზე გაჩერებას მძღოლებს საპატრულო პოლიცია უშლის, სამაგიეროდ ამ დედაქალაქის კუთვნილ სივრცეს თავის ნებაზე დიდი ხანია, გარე მოვაჭრეები დრდადრო ეპატრონებიან ხოლმე. დროდადრო, იმიტომ ვამბობ, რომ პერიოდულად, როგორც ჩანს, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მათ ამორჩეული ადგილებიდან ყრიან ხოლმე და გარბიან მერე ხანდაზმული თუ ახალგაზრდა ქალი თუ კაცი თავიანთი ყვავილებით, მწვანილებით, ბოსტნეულით, ტრუსებითა და წინდებით სავსე ტომრებით, აქეთ-იქით დიდი მითქმა-მოთქმით... მერე რაღაც დროის მანძილზე ქუჩა ქუჩას და არა გარეუბნის სახელდახელო ბაზრობას ემსგავსება, თუმცა კი ორი-სამი თვის შემდეგ ყველაფერი ისევ თავიდან იწყება.

თუ ამ ხალხს საპატრულო პოლიცია ასე თუ ისე „მოარგებს" ხოლმე გარე ვაჭრობის წესებს, დიდი ხნის წინათ შენობების პირველ სართულებს და გამოთავისუფლებულ სარდაფებში ბინადადებულ ნაირ-ნაირი სასურსათო საქონლით მოვაჭრე მაღაზიებს, რომლებსაც ზოგს თავის საქონელი აქვს იქვე ტროტუარზე გამოფენილი, ზოგს სარდაფიდან ამოსასვლელი კიბით მეტრანახევრის სიგანე ტროტუარის ნახევარზე მეტი აქვს დაკავებული, ვერაფერს აკლებენ. ახლა კიდევ ახალი სენი აქვს შეყრილი ამ დღის მანძილზე ხალხით გადაჭედილ ქუჩას — სწრაფი გადახდის აპარატები. სწრაფი გადახდის ეს საშუალება, თავისთავად, მოქალაქეთათვის ნამდვილად მოსახერხებელია, მაგრამ ნუთუ იმას მნიშვნელობა არა აქვს, თუ სად დადგამს მას მისი პატრონი? განა შეიძლება ასეთი აპარატის ქუჩის კუთხეში დადგმა, სადაც კაცი ფულის გადასახდელად თუ გაჩერდა, მისთვის გვერდის ასაქცევად ფეხით მოსიარულე, ფაქტობრივად, უწყვეტად მომავალი მანქანების ნაკადში უნდა „შევარდეს", ასევე „ავერსის" აფიაქთანაც უზარმაზარი ხის წინ. ეს, რომ იტყვიან, ყველაზე „სუსტი წერტილებია", თორემ სხვა მაგალითები კიდევ მრავლადაა, მაგრამ მათი ჩამოთვლას აღარ შევუდგებით, ესეც კმარა.

ამ თემაზე ადრეც არაერთხელ გვქონია ლაპარაკი, ამსახველი ფოტოებიც გამოგვიქვეყნებია, მერე და რა, განა რა შედეგი მოყვა გაზეთის კრიტიკულ გამოსვლას? არანაირი. იქნებ ახლა მაინც მიაქციონ ყურადღება თბილისის მერიამ და ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ შექმნილ ვითარებას, და თუ ამის პატივს დაგვდებენ, იქნებ სავალ ნაწილსაც მიხედონ, სადაც ყველა წვიმის შემდეგ დამდგარი უზარმაზარი გუბეებიდან ხალხი ტალახიანი წყლით იწუწება.

**ნინო ალექსანდრია,**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**




◎ დაიბეჭდა

## სამი საუნჯე №3 (13), 2014

**დაიბეჭდა სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალის „სამი საუნჯის" ამა წლის მესამე კვარტლის ნომერი.** მასში გამოქვეყნებულია მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი პატრიარქის კირილეს მიმართვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების საჭეთმპყრობელებისადმი უკრაინაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, სადაც უკვე რამდენიმე თვეა, არ წყდება ძმათა სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი. უწმიდესმა კირილემ გამოითხოვა მათგან ლოცვა უკრაინის მიწაზე მშვიდობის დამყარებისათვის და აგრეთვე მოუწოდა მათ, აღიმაღლონ ხმა აღმოსავლეთ უკრაინის მართლმადიდებელ ქრისტიანთა დასაცავად, რომელნიც ბერძენ-კათოლიკეთა და განხეთქილებაში მყოფთა მხრიდან ძალადობას განიცდიან და ყოველ დღეს შიშში ატარებენ. პატრიარქის ეპისტოლეს ერთვის ჟურნალის რედაქტორის გრიგოლ რუხაძის ვრცელი მინაწერი, რომელშიც კრიტიკულად არის შეფასებული ქართული მედიის პოლიტიკური ტერმინოლოგია; კერძოდ, როცა იგი, დასავლური ინსტრუქტაჟის მიხედვით, უკრაინელ სამშობლოს დამცველებს ტერორისტებად და სეპარატისტებად მოიხსენიებს.




რუბრიკა „ქართლის ცხოვრება" იწყება მიტროპოლიტ იოანეს (გამრეკელი) სტატიის მეორე ნაწილით — „საქართველოს გზა". ავტორის აზრით, საქართველოს სახელმწიფოს უპირველესი ამოცანა დღეს არის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-დემოგრაფიული წონასწორობის აღდგენა ორი მიმართულებით: 1) საგარეო ურთიერთობის დაბალანსებისა და 2) შიდა მდგომარეობის სწორი რეგულირების გზით. პირველისათვის საჭიროა დიპლომატიური კორპუსის კადრების უმაღლეს დონეზე მომზადება და საქართველოს გარშემო არსებული აღმატებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალების ინტერესთა გაწონასწორება ქვეყნის კეთილდღეობისა და განვითარების შენარჩუნებისათვის; მეორისთვის კი აუცილებელია ბუნებრივი პრიორიტეტების განვითარება დღეისთვის წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გათვალიწინებით. პირველ რიგში, ეს პრიორიტეტები არის განათლება და სოფლის მეურნეობა.

ევრაზიის ინსტიტუტის (ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე) საანგარიშო წერილში „აგვისტოს ომიდან" ხუთი წლის გასვლის შემდეგ გაანალიზებულ მოვლენებს გაეცნობით. ევრაზიის ინსტიტუტის ანალიტიკოსები მიმოიხილავენ აგვისტოს ომის დაწყების მიზეზებსა და დაინტერესებული მხარეების მოტივებს. გამოკვლევაში ნაჩვენებია, რომ ომის დაწყება არასგზით არ აწყობდა რუსეთის ხელისუფლებას, მით უმეტეს, ქართველი ხალხი ამით დაინტერესებული არ იყო. დოკუმენტური მასალები ცხადყოფენ, რომ სააკაშვილის რეჟიმი არის ომის წამომწყები, რომლის წარმომადგენლები „რუსულ აგრესიაზე" მხოლოდ 9 აგვისტოდან ალაპარაკდნენ, მანამდე კი ცხინვალის რეგიონში „კონსტიტუციური წესრიგის" დამყარებას პირდებოდნენ საზოგადოებას.

ამავე დროს, გამოკვლევაში ნათქვამია, რომ სააკაშვილი არ იყო შეურაცხადი, რომ იგი რუსეთის წინააღმდეგ ომით წასულიყო დასავლეთისგან ნებართვის გარეშე. ამერიკელების მოტივი, ამ შემთხვევაში არის საქართველოსა და რუსეთის ერთმანეთისაგან საბოლოო გათიშვა, რათა კავკასიის რეგიონში ამერიკული ჰეგემონია დამყარდეს, ხოლო აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" დატოვება რუსეთის გავლენის სფეროდ ამ პროცესს ვერ აბრკოლებს.

მამუკა ცუხიშვილის სტატიაში „დასავლეთ საქართველოს უკანასკნელი კათალიკოსი" განხილულია მწყემსმთავარ მაქსიმე II აბაშიძის მოღვაწეობა იმერეთის სამეფოსა და დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ძლიერებისათვის, კერძოდ, ელჩობა რუსეთში, რომელსაც 1769 წელს იგი ქუთათელი მიტროპოლიტის, ხოლო 1784 წელს დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის ხარისხით მეთაურობდა.

გულბად ამირანაშვილის სტატია „ქაშვეთის ეკლესიის მხატვარი" სახელოვანი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის შემოქმედებას ეძღვნება. ფილოსოფია-თეოლოგიის რუბრიკა წარმოდგენილია ბიზანტინოლოგ გვანცა კოპლატაძის ნარკვევით „ბიზანტიური რენესანსის იდეოლოგიური საფუძვლები". მასში დასაბუთებულადაა წარმოდგენილი, რომ ე.წ. ბიზანტიური რენესანსი, რომელსაც სათავე XI ს-ში მიქაელ ფსელოსის მოღვაწეობით დაედო, მხოლოდ ვიწრო მნიშვნელობით, კონკრეტულად ანტიკური და არა საერთოდ კულტურის აღორძინებასა და განვითარებას გულისხმობს. ამავე ეპოქაში ვიწროვდება ტერმინ ჰუმანიზმის მნიშვნელობაც და არა ზოგადად კაცთმოყვარეობას, არამედ უკიდურეს ინდივიდუალიზმს უიგივდება. ასე რომ, როგორც სტატიის ავტორი ასკვნის, ბიზანტიურმა რენესანსმა, რომელსაც იდეოლოგიურ საფუძვლებად წარმართული ფილოსოფია და უკიდურეს ინდივიდუალიზმთან გაიგივებული ჰუმანიზმი დაედო, დაამკვიდრა რა ე.წ. ადოგმატური, დოგმების მონობისაგან განთავისუფლებული აზროვნება, შესაბამისად ადამიანი რწმენისგანაც გაათავისუფლა. რწმენის ადგილი რაციონალიზმმა დაიჭირა, ხოლო ღმერთისა — ადამიანმა. ამგვარმა ჩანაცვლებამ კაცობრიობას ზნეობისა და სულიერი კულტურის დაქვეითება მოუტანა შედეგად.

ჟურნალში თეზისების სახით არის დაბეჭდილი ისტორიკოს ვალერიან მაჭარაძის დოკუმენტური წყაროების მიხედვით აღწერილი „რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო". მონოგრაფიაში ასევე მიმოხილულია გ. ტოტლებენის ისტორია და ასპინძის ბრძოლა.

**ავთანდილ ბექაური**

**კონფლიქტი**

# პოზიციას არც ერთი მხარე არ თმობს, საქმე კი ზარალდება



**ქართული ჭიდაობის სამყაროში ვნებათაღელვა არ ცხრება: ფალავნებს ლუკა კურტანიძის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიდან წასვლამდე ვარჯიშის განახლებაზე ლაპარაკიც არ სურთ, კურტანიძე კი გადადგომას არ აპირებს. ასეთ სიტუაციაში საქმის მოგვარება, ცხადია, წარმოუდგენელია. ამიტომაც იყო, რომ ორი დღის წინათ ჭიდაობის ფედერაციაში ქართველი ფალავნებისა და სპორტის მინისტრ ლევან ყიფიანის შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა, პრობლემა გადაუჭრელი დარჩა.** „იურიდიულად ფედერაციის პრეზიდენტის გადადგომა გამორიცხულია, მოჭიდავეთა პოზიცია კი უცვლელი რჩება. ჩვენ მხოლოდ იურიდიული ჩარჩოების მიხედვით ვმოქმედებთ. პრეზიდიუმის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული, ნაკრების მწვრთნელები შეინარჩუნებენ თუ არა პოსტს“, – განაცხადა შეხვედრის შემდეგ ლევან ყიფიანმა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს ბორჯომში საწვრთნელი შეკრება 22 ოქტომბერს უნდა დაეწყო, რადგან ნოემბერში ევროპის ერთა თასზე უნდა იასპარეზოს. დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, უკვე ამ ტურნირზე გამგზავრებაც საეჭვოა. წაუსვლელობის შემთხვევაში ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია დაგვაჯარიმებს.

ჭიდაობის ფედერაციაში შექმნილ კონფლიქტთან დაკავშირებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, ოლიმპიური ჩემპიონის – რომან რურუას პოზიცია ასეთია: „არავინ ჩაერიოს ამ საქმეში და 3 დღეში დავალაგებ ყველაფერს. საჭიროა, სისტემა ჩამოყალიბდეს – ვინ რა უნდა აკეთოს, სადაც ყველამ თავისი ფუნქცია უნდა შეასრულოს, ხოლო ფედერაციამ მეთვალყურეობა გაუწიოს დასახული გეგმების შესრულების პროცესს“. სამეთვალყურეო საბჭოს წევრ გიორგი მაკასარაშვილს კი მიაჩნია, რომ, უწინდელი შეპირებისამებრ, 24 ნოემბრამდე უნდა გაირკვეს, ვისი და რისი ბრალია მომხდარი და რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად. საბოლოო გადაწყვეტილებას კი პრეზიდიუმი მიიღებს.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე:** ლევან ყიფიანი მოჭიდავეებთან.

**ძიუდო**

# მაიამური ბრინჯაო



**ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც მაიამი (აშშ) მასპინძლობს, ქართველებმა ნავსი გატეხეს – სასტარტო წარუმატებლობის შემდეგ მეორე დღეს 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში კობა მჭედლიშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.** ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა, რომელმაც წლეულს გადმოინაცვლა ახალგაზრდებში, სერბი სტრაინია ბუნჩიჩი იპონით დაამარცხა, პოლონელ დამიან სტეპიენს 3 იუკოთი აჯობა, ესპანელ ალფონსო სოლანა ურქუზას გაფრთხილებებით მოუგო, მეოთხედფინალი უზბეკ შარაფედდინ ბოლტაბაევთან დათმო და დამამშვიდებელში გადაერთო. იქ კი ჯერ უნგრელი დიულა პალი ჩამოიშორა გზიდან, მერე აზერბაიჯანელ ჰუსეინ რანიმლისაც სძლია და, როგორც აღვნიშნეთ, მესამე ადგილი დაიკავა.

66 კილოში ორი ქართველი მოჭიდავე (გელა კელიხაშვილი და ბექა ვიბლიანი) პირველსავე წრეში დამარცხდა. გოგონებში ევროპის მესამე პრიზიორმა მზია ბებოშვილმა (52) ეკვადორელ დიანა დიასს სულ რალაც 20 წამში მოუგო, მაგრამ რუმინელ ლარისა ფლორიანს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და უმედლოდ დარჩა.

**სურათზე: კობა მჭედლიშვილი ლურჯი კიმონოთი.**

**ჭადრაკი**

# პირველი გამარჯვება გრან პრიზე



**უზბეკი დიდოსტატი რუსტამ კასიმჯანოვი ფიდეს ვერსიით 2004-2005 წლების მსოფლიოს ჩემპიონია და ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევა. ვაჟთა მსოფლიოს გრან პრის მე-2 ეტაპის მე-3 ტურში, რომელსაც ტაშკენტი მასპინძლობს, ქართველი დიდოსტატი ბაადურ ჯობავა სწორედ კასიმჯანოვს დაუპირისპირდა შავი ფიგურებით. დებიუტში მცირე უპირატესობა თეთრების მხარეს იყო, მაგრამ შემდეგ ორთაბრძოლის სადავეები ხელთ იგდო ქართველმა დიდოსტატმა და 33-ე სვლაზე მეტოქეს საათი გააჩერებინა – ბაადურმა გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვება ჩაიწერა.**

**მესამე ტურში დაზავდნენ:** ასპარეზობის ერთპიროვნული ლიდერი მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი) და თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ)-ანიშ გირი (ჰოლანდია), ფაბიანო კარუანა (იტალია)-დმიტრი ანდრეიკინი (რუსეთი), რუსმა სერგეი კარიაკინმა თანამემამულე დმიტრი იაკოვენკო დაამარცხა, შაჰრიარ მამედიაროვმა (აზერბაიჯანი) ბორის გელფანდს (ისრაელი) აჯობა.

**სამი ტურის შემდეგ:** ვაშიე-ლაგრავი – 2,5, ანდრეიკინი, კარიაკინი, ნაკამურა – 2-2, გირი, ჯობავა, მამედიაროვი, რაჯაბოვი- 1,5-1,5, გელფანდი, კარუანა, იაკოვენკო – 1-1, კასიმჯანოვი – 0,5 ქულა.

**თამაზ პატარაია**

**სურათზე: ბაადურ ჯობავა.**

**კრივი**

# ორნი – ნახევარფინალში

**41 ქვეყნის 233 წარმომადგენელი ჩაება ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრებში 19-წლამდელ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატში. მათ შორის ექვსი საქართველოდან იყო: გაგიკ პოზოიანი (52 კგ), უჩა მაისურაძე (56), ლაშა გურული (60), ნუკრი ადამია (64), გიორგი ხარაბაძე (69) და რატი ტლაშაძე (75). ხუთდღიანი პაექრობების შემდეგ შეჯიბრებას ჩვენებურთაგან მხოლოდ ორი სპორტსმენი შემორჩა, რომლებიც ნახევარფინალში გავიდნენ და, სულ მცირე, ბრინჯაოს მედლები გაინაღდეს.** 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში გურულმა პირველ-მეორე წრეში ჟუსტინ ჯოვანი კრემერი (ჰოლანდია) და რიჩარდ კოვაჩი (უნგრეთი) ჩამოიშორა გზიდან, მეოთხედფინალში ჩეხ



ლუკაშ დეკუშს აჯობა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც მოლდოველი მიხაილ გვასიუკის მძლეველ ინგლისელს – სმით დალტონს შეხვდება.

69 კილოში გიორგი ხარაბაძემ ზედიზედ სძლია ბერნარდ ბარშონის (უნგრეთი), ოლივერ ფლოდინსა (შვედეთი) და რაჯაბ რაჯაბოვს (რუსეთი). ნახევარფინალში ჩვენებური ირლანდიელ ჯენ ჯოისს გაუწევს მეტოქეობას. ამ უკანასკნელს მეოთხედფინალში ხორვატი მეტოქე არ გამოუცხადდა.

მედლამდე ცოტა დააკლდა ახალქალაქელ გაგიკ პოზოიანს (52 კგ) – იგი აზერბაიჯანელ მასუდ იუსუფზადესთან დამარცხდა. ადამია, მაისურაძე და ტლაშაძე ადრეულ ეტაპზევე გამოეთიშნენ შეჯიბრებას.

**გივი გაგუა**

**მხატვრული ტანვარჯიში**

# ტოკიოდან რიოს კონტურები გამოჩნდა





**სხვადასხვა ქვეყნის 18 გუნდი მონაწილეობდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში, რომელსაც იაპონიის დედაქალაქმა ტოკიომ უმასპინძლა. საქართველოს სპორტულ ღირსებას „ნელი სალაძის აკადემიის“ ნაკრები (სალომე ფაჟავა, სალომე ურუშაძე, ნინია როხვაძე) იცავდა.** ჩვენმა გოგონებმა საკვალიფიკაციო ეტაპზე 174.128 ქულა მოაგროვეს და მე-7 ადგილით პლეი ოფში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს, იქ კი პირველივე შეხვედრა მასპინძელთა „ეონთან“ დათმეს და საბოლოოდ მე-8 ადგილს დაყაბულდნენ. ჩემპიონობა რუსეთის „გაზპრომმა“ (მსოფლიოს ჩემპიონი იანა კუდრიავცევა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი მარგარიტა მამუნი, ვერონიკა პოლიაკოვა) მოიპოვა, რომელმაც ფინალში ბელარუსის „დინამო“ (კატსიარინა ჰალკინა, მელიტინა სტანიოუტა, მარია ტრუბაჩი) დაამარცხა. მესამე ადგილზე „დერიუგინას სკოლა“ (უკრაინა, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი ანა რიზატდინოვა, ელეონორა რომანოვა, მარინა მულიკი) გავიდა.

**პირად პირველობაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:** 1. მარგალიტა მამუნი, 2. იანა კუდრიავცევა (ორივე – „გაზპრომი“), 3. მელიტინა სტანიოუტა („დინამო“)... 6. სალომე ფაჟავა.

**ახალგაზრდები.** 1. ვერონიკა პოლიაკოვა („გაზპრომი“), 2. მარია ტრუბაჩი („დინამო“), 3. ჟაილა პირიევა (აზერბაიჯანი).

ქართველი მხტვრული ტანმოვარჯიშეები ახლა მომავალი სეზონისთვის მოემზადებიან. 2015 წელი განსაკუთრებით დაძაბული იქნება სალომე ფაჟავასთვის. გაისად იგი, რომ არაფერი ვთქვათ გრან პრის ტურნირებსა და მსოფლიოს თასის ეტაპებზე, აპრილის მიწურულს მინსკში ევროპის ჩემპიონატზე გამოვა, მერე ბაქოში პირველ ევროპულ თამაშებში მოსინჯავს ძალებს, 7 სექტემბრიდან კი შტუტგარტის სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატში რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების საგზურისთვის იბრძოლებს. წლევანდელ მსოფლიოზე სალომემ მე-13 ადგილი დაიკავა. რომ არა უნებლიე შეცდომები, ათეულში დაიმკვიდრებდა ადგილს. ასე რომ, ხელშეწყობის შემთხვევაში მას დიდი შანსი აქვს, 15 საუკეთესოში მოხვდეს და რიოს ლიცენზია დაიბევოს.

**ნანა დოლიძე**

**სურათზე:** სალომე ფაჟავა რგოლით ვარჯიშისას.

**ხელბურთი**

# „ყვარელი“ ერთპიროვნულად ლიდერობს

**შარშან 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ გოგონათა საქართველოს პირველობაზე ყველას თბილისის „მამულმა“ აჯობა, მეორე იყო ფოთის გუნდი, ხოლო ბრინჯაო ყვარლელებმა დაისაკუთრეს.** წლევანდელ ჩემპიონატშიც ამ გუნდებს მიიჩნევენ ფავორიტებად. პირველი წრის ბოლოსწინა ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია „მამულისა“ და „ყვარლის“ შეხვედრამ. კახელთა გუნდმა დაჯაბნა ჩემპიონები – 29:26 და ლიდერობა განიმტკიცა:

**ყვარელი – მამული 29:26.**

**„ყვარელი“:** გუბელაძე, თეთრაშვილი – 10, კუნელაშვილი – 6, ქიტესაშვილი – 4, ს. იორდანიშვილი – 4, მიხელიძე – 4, კუპატაძე – 1, თ. ორდანიშვილი.

**„მამული“:** მაზმიშვილი, ყველაშვილი – 7, გაბისონია – 5, ნარიმანიძე – 5, ღვალაძე – 5, გიორგაძე – 2, ომიაძე-2



**მსაჯები:** ინა ჭკუასელი, გია წივწივაძე.

**ტურის დანარჩენი შეხვედრები:** „ფოთი“ – „წყალტუბო“ 40:25, „ქარიშხალა“ – „პეგასი“ 13:23, „წყალტუბო“ – „იმედი“ 13:4.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ყვარელი“ – 10 ქულა (5 თამაშიდან), „პეგასი“ – 8 (5), „მამული“ – 6 (4), „ფოთი“ – 6 (5), „წყალტუბო“ – 2 (5), „ქარიშხალა“ – 0 (4), „იმედი“ – 0 (4) ქულა.

**დღეს ითამაშებენ:** „წყალტუბო“ – „ქარიშხალა“, „მამული“ – „ფოთი“, „ყვარელი“ – „პეგასი“, „იმედი“ – „ქარიშხალა“, “მამული„ – „იმედი“.

**ლაშა დიდია**

**სურათზე: უტევს მარიამ მიხელიძე („ყვარელი“).**

**შვიდკაცა რაგბი**

# გამარჯვებული 15 ათას ლარს მიიღებს

**შაბათ-კვირას „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ შვიდკაცა რაგბის საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება. საპრიზო ადგილებისთვის 12 გუნდი იბრძოლებს. ასპარეზობის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ტურნირის (დირექტორი ზაზა ლეჟავა) საპრიზო ფონდია 25.000 ლარი, საიდანაც გამარჯვებულს 15.000 ლარი გადაეცემა, მეორე-მესამეადგილოსნები კი, შესაბამისად, 7.000 და 3.000 ლარით დაჯილდოვდებიან.**

12 გუნდი ჯგუფებში ასე გადანაწილდა.

A **ჯგუფი**. „ლელო“, „ჯიქი“, „ხარები“, „ბარბაროსები“;

B **ჯგუფი**. „არმია“, „აია“, „ბათუმი“, „ბაგრატი“;

C **ჯგუფი**. „ლოკომოტივი“, „ყოჩები“, „თიბიეს“, „აკადემია“.

ამ შეჯიბრებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრების მწვრთნელმა კახა ალანიამ თქვა, რომ სანაკრებო თამაშები დეკემბრიდან იწყება და ეს ჩემპიონატი ეროვნული გუნდისთვის ახალი კანდიდატების მოსაძიებლად სჭირდებათ.

◎ თანამემამულე

# ამერიკელი ქართველი მომღერლის „კომპოზიციური თავგადასავლების“ გზა

**როცა 90-იანი წლების მიწურულს, მრავალი სხვა ჩვენი თანამემამულესავით, ოჯახის მომავალზე დარდით გამწარებული ჩემი უახლოესი მეგობარი კოტე არობელიძე სამუშაოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში ცოლ-შვილთან ერთად მიდიოდა, აგვისტოს იმ ღამეს ავ ზმანებაშიც არ წარმომესახებოდა, რომ მას უკანასკნელად ვხედავდი. მერე, წლების მანძილზე, გამუდმებული სატელეფონო კავშირი გვქონდა, მაგრამ იმ საუბრებიდან მეხსიერებას ერთი განსაკუთრებულად შემორჩა. იმ დღეს ერთმანეთს 10 თუ 15 წუთი ველაპარაკეთ, მაგრამ მერე გაცილებით მეტხანს ჩემი და მისი უმცროსი ქალიშვილის ნინოს საუბარი გაგრძელდა. სიმართლე გითხრათ, ვერც მაშინ ვიფიქრებდი, რომ ოდესმე ნინო არობელიძეზე საგაზეთო წერილის დაწერა, როგორც წარმატებულ მომღერალზე, მომიწევდა...**

მსმენელთა წინაშე ნინო არობელიძე პირველად ჩიკაგოს მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ ლეიკ-ბლაფის საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდთან ერთად წარსდგა. მას შემდეგ, რაც ნინომ ცხოვრების გზად მუსიკოსობა აირჩია, ოჯახი საცხოვრებლად ჩიკაგოში გადავიდა. თავისი შეგროვილი ფულით მან გიტარა და ხმის ჩამწერი აპარატურა შეიძინა, რომელზეც არანჟირების ექსპერიმენტები დაიწყო.

მისი პირველი სიმღერები პოპულარული ფანკისა და სოულის სტილში იყო, ვოკალური დიაპაზონი და უზადო, დახვეწილი მუსიკალური გემოვნება კი მას ერთმანეთისგან დიდად განსხვავებული ჟანრების სიმღერების შესრულების შესაძლებლობას აძლევს როგორც გუნდში, ასევე სოლო გამოსვლებში — შემდგომ მის რეპერტუარში ფლამენკოს, ფიუჟნის, ჯიპსის სტილის სიმღერები და წმინდა ჯაზური კომპოზიციები გაჩნდა, მერე კი კლასიკური ნაწარმოებების ჯერიც დადგა. მის მიერ ჩამოყალიბებულ ჯგუფთნ „The CrossRoads Project“-თან ერთად ნინომ სამი ალბომიც ჩაწერა.

ბუნებრივია, რომ სამშობლოდან ასე შორს მოღვაწე ახალგაზრდა მომღერალს უდიდესი სიხარული მოუტანა იმ ამბის გაგებამ, რომ მისი ერთ-ერთი სოლო ალბომის „Strange Brew“-ს კომპოზიციებს ქართული რადიოსადგური Star FM დღესდღეობითაც ატრიალებს ეთერში, რის შესახებ მას ჩვენმა მსმენელებმა შეატყობინეს. ტელეარხმა „იმედმა“ ნინო არობელიძის შემოქმედებას ანა ასათიანისა და გოდერძი შარაშიას მიერ მომზადებული ორი გადაცემა, ჟურნალმა „კვირამ“ კი თეონა გოგნიაშვილის სტატია მიუძღვნეს.

— ჩემი სოლო პროექტებისთვის მუსიკასაც და ტესტებსაც თითქმის ყოველთვის თავად ვწერ, ხოლო, თუ ცალკეულ ნომრებს სხვა შემსრულებლებთან ერთად ვამზადებ, მაშინ თანამშრომლობას უფრო ინსტრუმენტალური ხასიათი აქვს ხოლმე, — ამბობს ნინო. — ჩემთვის თითოეული სიმღერის დაბადება ერთგვარი „კომპოზიციური თავგადასავალია“, ლექსების წერა კი ბავშვობიდანვე მიყვარდა, ამდენად, სულიერად ეს ჩემთვის ძალიან ახლოა, ჩემი, ასე ვთქვათ, „ფოკუსია“. მიყვარს მუსიკის მელოდიურობა, მიტაცებს მსოფლიო მუსიკის ელემენტებით გაჯერებული ჯაზი და სოული. რაც შეეხება სცენურ მოღვაწეობას, კონცერტებს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში ვმართავ, ხშირად ვმონაწილეობ საქველმოქმედო კონცერტებში, რომელთა მიზანია საშუალო სკოლებში ბავშვთა მუსიკალური განათლების ხელშეწყობა, ასევე ახალგაზრდა მარტოხელა დედების დახმარება. 2007 წელს კი ჩემთვის დაუვიწყარი კონცერტი იყო ნიუ-იორკის სახელგანთქმულ კარნეგი ჰოლში, სადაც გუნდთან ერთად გამოვედი. ჩემი ოცნებაა იქ საკუთარ ჯგუფთან გავმართო კონცერტი.

ამჟამად მყავს პატარა ჯგუფი, რომელთან ერთად დიდ კონცერტებზე გამოვდივარ, შედარებით პატარებზე კი სოლოს ვასრულებ, ვუკრავ რამდენიმე სახეობის გიტარაზე — აკუსტიკურზე, ელექტრო, უკულელეზე, ასევე როიალზე, ყველაფერს ადგილი და შოუს ხასიათი განაპირობებს.




ამჟამად მუსიკალურ ჩანახატებზე ვმუშაობ ჩემი მეორე სოლო ალბომისთვის, რომელსაც „ARO“ ერქმევა. დიდად მახარებს, რომ ამ დღეებში სახელგანთქმულ ტერი დიქსონთან ერთად გადაღებული ჩემი მუსიკალური კლიპი გამოვა, რომელიც ანიმაციის, ფოტოგრაფიისა და კინოფილმის ერთგვარი კოლაჟი იქნება.

ძალიან მინდა, გაისად ჩემ ჯგუფთან ერთად საქართველოში ჩამოსვლა და პატარა საკონცერტო ტურნეთი თანამემამულეებისთვის საკუთარი შემოქმედების გაცნობა, ასევე უპატრონო ბავშვთა ორგანიზაციებისთვის დახმარების გაწევა. ახლა დაზუსტებით არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან მოლაპარაკება ამის თაობაზე ჯერჯერობით გრძელდება.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ მეცნიერების აღმოჩენა

# ახალი პრეპარატი ყველა სახის კიბოს კურნავს

**ბრიტანელმა მეცნიერებმა პრეპარატი აღმოაჩინეს, რომელიც კიბოს ყველა სახეობას ებრძვის, ახდენს ორგანიზმის დამცავი სისტემის სტიმულირებას, ამაღლებს ბუნებრივ იმუნიტეტს და ეწინააღმდეგება დაავადების რეციდივს.**

„დელტა-ინჰიბიტორებს“ უკვე ფართოდ იყენებენ ლეიკემიასთან საბრძოლველად, თუმცა, მეცნიერების მტკიცებით, მათი გამოყენება შესაძლებელია კიბოს სხვა ფორმების დასაძლევადაც.

პრეპარატი წარმატებით გამოიყენეს საკონტროლო ჯგუფებში და ახლა ლონდონის უნივერსტეტის კოლეჯის (University College London (UCL) და Babraham institute-ს მკვლევარები დარწმუნებულები არიან — ინჰიბიტორები ებრძვის ფილტვების, კანის, მკერდის კიბოსა და პანკრეასს. როგორც ცნობილია, კიბო იმუნურ სისტემას ენზიმის P100delta წარმოქმნით ანადგურებს. წამალი კი ბლოკავს ენზიმს, რითაც აღადგენს ორგანიზმის თავდაცვას და აძლევს საშუალებას იმუნურ სისტემას, კიბოს უჯრედებს შეუტიოს.აღსანიშნავია, რომ „ინჰიბიტორების“ გამოცდის პროცესი იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ მკვლევარებმა ჯერ კიდევ საცდელი პრეპარატის გამოყენება ლეიკემიით დაავადებულ პაციენტებში მიზანშეწონილად ცნეს. ასევე შეგახსენებთ, რომ წლიდან წლამდე მედიაში ვრცელდება სხვადასხვა ცნობები კიბოსთან საბრძოლველი წამლის შესახებ, თუმცა, ჯერჯერობით, 100%-ით ეფექტური პრეპარატი კაცობრიობას არ გამოუგონია.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის მთავრობის აპარატის ადმინისტრაციული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი**

**ეთერ თოლორდავა**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

◎ ინფორმაცია

## დაკავებულია საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

**ვანის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძაგნიძე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა საკუთარ კაბინეტში დააკავა.**

**ძაგნიძე საკრებულოს შენობიდან ხელბორკილით გაიყვანეს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ მას 3 ათასი ლარის ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ.**

**ამასთან, როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იტყობინება, ვანის საკრებულოს ზოგიერთი წევრი აცხადებს, რომ ძაგნიძის დაკავება პოლიტიკურ ანგარიშსწორებას წარმოადგენს, რადგან ის საკრებულოს თავმჯდომარეობის რეალური კანდიდატი იყო. ვანში საკრებულოს წევრებმა თავმჯდომარის გადაყენება რამდენჯერმე სცადეს, თუმცა, უშედეგოდ. ძაგნიძე, არსებული ინფორმაციით, „რესპუბლიკური პარტიის“ წევრია.**

## შსს-მ ჟურნალისტ ზაზა დავითაიას ცემის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტ ზაზა დავითაიას დევნის ფაქტზე 1982 წელს დაბადებული ავთანდილ კ. დააკავეს.**

**შსს-ს ინფორმაციით, ბრალდებულმა მიმდინარე წლის 22 ოქტომბერს, თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის №2-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჟურნალისტ ზაზა დავითაიას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ დაშავებული ჟურნალისტი სტაციონარში გადაიყვანა. სამართალდამცველებმა საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ავთანდილ კ. დანაშაულის ჩადენიდან მეორე დღეს დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.**

◎ ფულებმა ისინი ციხიდან ვერ იხსნა

# მილიარდერები, რომელთაც კანონთან პრობლემები შეექმნათ

**სილვიო ბერლუსკონი — 9 მილიარდი დოლარი**



2013 წელს სილვიო ბერლუსკონი იტალიის სენატიდან მას შემდეგ გააძევეს, რაც სასამართლომ იგი გადასახადების დაფარვასა და არასრულწლოვან სექსმუშაკთან სექსუალურ კავშირში დამნაშავედ სცნო, რის გამოც, სასამართლომ მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში, ბერლუსკონის კუთვნილებაში არსებულმა ჰოლდინგ კომპანია Fininvest-მა ამერიკული ფილმებისა და ტელეგადაცემების უმრავლესობაზე შეიძინა უფლებები. ამის შემდეგ, ქვეყნის უდიდესმა სატელევიზიო კომპანია Mediaset-მა, რომელიც ასევე ბერლუსკონიმ დააფუძნა, მომატებულ ფასებში შეიძინა ეს უფლებები, რომლის მეშვეობითაც სილვიომ არალეგალურად 375 მილიონი დოლარი მოიპოვა. გარდა ამისა, სასამართლომ ჩათვალა, რომ ბერლუსკონის საგადასახადო ხაზინისა 7 მილიონი ევრო მართებს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ყოფილი პოლიტიკოსი ამჟამად 77 წლისაა, იგი ციხის ნაცვლად, გამოსასწორებელ სამუშაოებს შეასრულებს.

**ტომას კვოკი — 12,6 მილიარდი დოლარი**

კომპანია Sun Hung Kai Properties Ltd-ის ვიცე-პრეზიდენტსა და აღმასრულებელ დირექტორს ტომას კვოკს ჩინოვნიკების მოსყიდვაში ედება ბრალი. საქმესთან დაკავშირებით 2014 წლის მარტში კიდევ სამ ჰონკონგელ ჩინოვნიკს წაუყენეს ბრალდება. საქმეს კორუფციასთან მებრძოლი დამოუკიდებელი სახელმწიფო კომისია აწარმოებს.

**დომენიკო დოლჩე და სტეფანო გაბანა — 1,65 მილიარდი დოლარი**



მოდის ფუძემდებლებს — დომენიკო დოლჩეს და სტეფანო გაბანას შარშან თითოეულს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, რისი მიზეზიც გადასახადების არგადახდა გახდა. დიზაინერების მაქინაციებს მოსამართლემ „დახვეწილი საგადასახადო თაღლითობა“ უწოდა. ახლა დოლჩე და გაბანა სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას ცდილობენ, მაგრამ, თუ მათი დანაშაული დამტკიცდება, მათ ჯარიმის სახით, 470 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევთ.

**ბერი ეკლსტოუნი — 4,2 მილიარდი დოლარი**

„ფორმულა-1-ის“ ხელმძღვანელს ბერი ეკლსტოუნს დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის სასამართლო ქრთამის აღებაში სდებს ბრალს, რის გამოც მას სერიოზული სასჯელი ემუქრება. შეგახსენებთ, რომ ეკლსტოუნი კომპანია Formula One Group-ის 5,3%-იან წილს ფლობს. იგი გარეული იყო კერძო საინვესტიციო ჯგუფის CVC Capital Partners-ის უფლებების გაყიდვაში და ბრალად ედება გერმანელ საინვესტიციო ბანკირ გერხარდ გრიბოვსკისთვის 45 მილიონი დოლარის მოცულობის ქრთამის მიცემა. გრიბოვსკი უკვე იხდის სასჯელს ამ საქმესთან დაკავშირებით, მას 8,5 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი. ეკლსტოუნის საქმეზე სასამართლო მოსმენა 2014 წელს მიუნხენში გაიმართება.

**გლებ ფეტისოვი — 1,4 მილიარდი დოლარი**

„ჩემი ბანკის“ ყოფილ მფლობელს გლებ ფეტისოვს გამოძიება ბანკის ქონების გაფლანგვაში ადანაშაულებს. 28 თებერვალს ფეტისოვს 2 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

## სულიერება

# ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული



**26 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია ივერიის ღვთისმშობლის ხსენებას დღესასწაულობს.**

**ცნობილია, რომ ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენებას წელიწადში რამდენჯერმე აღნიშნავენ. იმპერატორ თეოფილეს მეფობის პერიოდში (829-842 წ.წ.) ბიზანტიის იმპერიაში ხატ-მებრძოლების საშინელი ერესი მძვინვარებდა. იმპერატორის ბრძანებით, იმპერიის ყველა სოფელსა და ქალაქში მხედრები ეძებდნენ გადამალულ ხატებს და ანადგურებდნენ მათ.**

...ნიკეის მახლობლად ცხოვრობდა ერთი კეთილმორწმუნე ქალი, ის ქვრივი იყო. იმპერატორის მიერ გამოგზავნილმა მხედრებმა ქვრივის სახლში იპოვეს ეს გადამალული ხატი და ერთ-ერთმა მხედართაგანმა „მახვილი დასცა მას პირსა ხატისა“.

მოხდა სასწაული: ნაიარევიდან სისხლმა იფეთქა. შეშინებული მხედრები იქაურობას გაეცალნენ. ქვრივი მთელი ღამე ლოცულობდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე. დილით კი, მან, ღვთის განგებით, ხატი ზღვასთან მიაბრძანა და ლოცვის შემდეგ წყალში ჩაუშვა. წმიდა ხატი დასავლეთისკენ გაემართა.

ერთხელ, მიმწუხრისას ათონის ივერთა მონასტრის ბერებმა ზღვაზე შენიშნეს ნათელი სვეტი. ნათელი ღვთისმშობლის ხატს ადგა, მაგრამ, როცა ვინმე მიუახლოვდებოდა, ხატი ნაპირს შორდებოდა.

გაბრიელ იბერიელმა შეძლო ღვთისმშობლის ხატის ზღვიდან ამობრძანება! ხატი ეკლესიაში შეაბრძანეს და საკურთხეველში დაავანეს... მაგრამ, მეორე დღეს დილას გაუჩინარდა. ძებნის შემდეგ მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს. ის კვლავ ჩამოაბრძანეს და საკურთხეველში შეაბრძანეს. ასე განმეორდა რამდენჯერმე.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის მადლით მრავალი სასწაული აღესრულება.

**გიული ლიპარტია**

## გურამ გვეტაძეს

**ბაბუ, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დღეგრძელობას.**

*თქვენი შვილიშვილი სანდრო ბილიხოძე*

## მერაბ ბერძენიშვილის კარიკატურა

**ტრისტან სიხარულიძის ნაამბობი:**

**ჩვენთან, მაკვანეთში, ცნობილი გურული მომღერალი პატარებს სიმღერას ასწავლიდა. ერთხელ მეზობელმა წყენით უთხრა: ყველას რომ ასწავლი, ჩემმა ბაღანამ რა დააშავაო. სხვაზე ნაკლები ნიჭი არა აქვს, დღე და ღამ მღერისო.**

**მომიყვანე, გავსინჯავო, მასწავლებელმა.**

**საღამო ხანს შესძახა მეზობელმა: რას შობა? გამოდგაო?!**

**ერთი რჩევა მინდა გითხრა, — უპასუხა მასწავლებელმა, — ბაღანა ყურის ექიმს გაასინჯე, ნახოს, ყურში ნახვრეტი თუ აქვსო.**



## ცინცხალი ანეკდოტები

**რუსეთი, 2050 წელი, სკოლაში ფიზიკის გაკვეთილია:**

**მამაო:**

**— შვილო ჩემო, როგორ მიედინება ელექტრობა მავთულებში?**

**— ღვთის წყალობით, მამაო!**

**— დაჯექი შვილო, ფრიადი!**

* * *

**მამაკაცი მაღაზიაში ქალის სტრინგებს არჩევს:**

**— უჰ, შენი დედა... ეს ტრუსი ხომ ქალს არაფერს დაუფარავს! აბა, ერთი ისინი მაჩვენეთ, მაგათ ქსოვილის რაღაც ნაფლეთი მაინც აქვთ...**

**ახალგაზრდა გამყიდველი ქალი:**

**— ეგ, ჩემო ბატონო, ტრუსის ფასის ბირკაა!**



* * *

**— ძვირფასო, მაპატიე, სახლში რომ გირეკავ, მაგრამ წუხელ შენთან მანქანაში საცვლები დამრჩა და ვიფიქრე, შენმა ცოლმა რომ იპოვოს, ერთ ამბავს დაგაწევს... შენ ხომ არ გინახავს?**

**— კი, როგორ არა, გუშინვე ვნახე.**

**— მერე რატომ არ მითხარი, ხომ იცოდი, ვინერვიულებდი!**

**— რა უნდა მეთქვა, ქალო, შენები რომ არ ყოფილიყო?**

* * *

**მე ძალიან წყნარი, მორიდებული ქალი ვარ: ჩემი ქმრის საყვარელს ჩუმად დავასამარებ, მორიდებულად აღვნიშნავ.**

# სკანვორდი




1. მსახ..... გარსია
2. გაგარინი
3. აერო-პორტი მოსკოვში
4. მალეგირებელი ელემენტის დამატება შენადნობში
5. ბურატინოს მასწავლებელი
6. ესპანური ღვინო
7. მოშვებული, ფომფლე
8. იტალიის ისტ.ოლქი
9. ძვ.დროის დამახასიათებელი ნიშნები
10. სამუშაო გეგმა
11. კაპიტალის დაბანდება
12. ქაღალდის კეცვის ხელოვნება
13. ფილმი მადონას მონაწილეობით
14. აგენტი 007
15. ვისამე მომხრე, დამცველი
16. თურქეთის დედაქალაქი
17. მთავარი საწყობი
18. სისხლის თეთრი ბურთულები
19. უმა ...
20. ფოთლოვანი ხე
21. დიდი წვიმა, თავსხმა
22. მთვარის მოხაზულობა
23. წარწერა ფილმის კადრზე
24. ფელამუში
25. ვაგზალი
26. მოწნული დიდი ბოთლი
27. ზებუნებრივი ძალების რწმენა
28. ფაშისტური გერმანიის გროსადმირალი
29. წყლის ფრინველი
30. ძალიან გამხდარი
31. მსახ. ჟულიეტ...
32. კედლის სანათი
33. კოვბოური ფილმი
34. ... თაყაიშვილი
35. მეფის სავარძელი
36. ინდური ფილოსოფიის სისტემა
37. მიწის ბერძნ. ქალღმერთი
38. იგივეა, რაც ჰორმონი
39. შორეული ნათესავი
40. ალიგატორი, კაიმანი-რაობა
41. სამხედრო ჩინი
42. ისტ.სახელმწ. მცირე აზიაში
43. ვეშაპების რაზმის ცხოველი
44. ზაფხულის თვე
45. ფრანგული სანებელი
46. ესპერანტოს ვარიანტი
47. ვაჟიშვილი
48. ნივთიერება ანალიზის ჩასატარებლად
49. იტალიის ქალაქი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24